

140
1935

საბავშვო
გაზეთი



ბავშვთა

N12



19 სანკარბუბანი 35



„პრონერი“

№ 12

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქ. განსახკომის ერთობი-
ური ჟურნალი

დეკემბერი 1935

წელწადი გვ-11

ჩადაქციის მისამართი:

კიროვის ქ., № 7.

ს ა ხ ე ლ ბ ა მ ი,

საგ. და ახალ. სექტორი

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1. გამოთხოვება (ლექსი) — პროკოფიევის (თარგ. შ. თაბუკაშვილისა) . . .	1
2. თოვლის კაცი (ლექსი) — ს. შანშიაშვილისა	1
3. დედა და შვილი (მოთხრ.) — ლევ. მეტრეველისა	2
4. მკითხველებს (ლექსი) — გიორგი კაჭახიძისა	5
5. პატარა ვოვა (მოთხრ.) — ლადო გეგეჭკორისა	5
6. ფადიმე გოგიტძე (ლექსი) — გ. ქუჩიშვილისა ¹	7
7. მთების მგოსანი (ლექსი) — ავთანდილ კაშმაძისა	7
8. ფშუტარა (ლექსი) — ს. შანშიაშვილისა	8
9. ზღვასთან (ლექსი) — გ. კალანდაძისა	8
10. ლევარსი როხროხაძე — ი. ხინველისა	9
11. ჩვენი რკინისგზა — ნ. შველიძისა	11
12. სფინქსის საიდუმლოება — დავ. შამათავასი	12
13. პატარა ჯადოსანი (მოთხ.) — კლ. დევდარიანისა	14
14. სიმღერა ვაჟას მთებიდან (ლექსი) — ვლ. სულაბერიძისა	16
15. ვაჟა-ფშაველა — ან. ღვინიაშვილისა ¹	16
16. როგორ გავფრინდი — ოთარ გვინჩიძისა	19
17. კოლხიდა აყვავებულა (ლექსი) — გ. შაჭკორიასი	20
18. 1. თევზაობს თუ არა კოტი, 2. წველიან თუ არა გველებს — შ. თ — ლისა	20
19. მოლას ფურნე — გ. ლომთათიძისა	21

ბ ა ვ ზ მ თ ა შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ა

20. კიროვის (ლექსი) — ირ. ჩხიკვიშვილისა	21
21. საქართველოს (ლექსი) — ბენ. კონჯარაისი	21
22. ზოობადში (მოთხ.) — შოთა გაგოშიძისა	22
23. ჟურ. „პრონერის“ 1935 წლის შინაარსი	23

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა

პ/მგ. რედაქტორი: აპ. ჩახვიანი.

პ/მგ. მდივანი: როდონ ქორჭია

წევრები: ლ. ბახვიანი, ნ. ჩარკვიანი, გ. შუჩიშვილი, შ. თაბუკაშვილი, ე. ახვლედიანი.

ხტილისტი: — შ. თაბუკაშვილი.

გამომცემი: ს. ხვიჩია.

ზამოთსოვეზა

(კიროვის მოკვლის გამო)



სისხლის ნათესაობით
 და ყოველგვარ უფლებებით,
 სახელოვან რიგებით
 ვეთხოვებით მეგობარს...
 მსოფლიო გარინდულა,
 ვტირით მშრალი თვალებით
 (ეს დღე უცნაურია,
 ეს სხვა დღეებს როდი ჰგავს!)
 შავმა დროშამ დაჩრდილა
 სისხლისფერი ალამი,
 მივდიოდით რიგებით,
 და გზა გრძელი გამოდგა,
 შურს იწვევდა უსაზღვროს
 გულამოსკვნით მტირალი,
 ბოლმამ სული შეხუთა,
 გულში ღამე ჩამოდგა!
 კუბოსთან მივდიოდით

ჩვენ დღისით და ღამითა,
 და დროშების მდინარე
 ტყესავით ირხეოდა,
 მეგობართან მიგვექონდა
 დაისრული გულებით
 ფერადი ყვავილები,
 სხივი რომ ეფრქვეოდა.
 მივდიოდით რიგებით,
 ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით,
 რგოლი რომ წავიდოდა, —
 რაზმი ენაცვლებოდა,
 და გმირების ქვეყანას
 ფიცი მაშინ მივეცი,
 გულებს ერთსულოვანად
 იქ რომ აღმოხდებოდა...

პროკოფიევი.

თარგმნილი შ. თაბუკაშვილის მიერ



თოვლის პასი

ჯანსომ ცივა გამიკეთა,
 დაფექე, ვისრიალე,
 ვცურაობდი, თან ვმღეროდი:
 — ლაღე, ბიჭო, ლაღე!

ბევრჯერ გადავკოტრიალდი,
 თოვლში ჩავიმალე;
 თოვლის კაცი გავაკეთეთ,
 თავიც მოფურგვალე.

მერე ქული ჩამოვაცვი,
 მკლავი გაუშალე;
 მის გარშემო დავუარეთ:
 — ლაღე, ბიჭო, ლაღე!

მერე ციბომ ჯოხი მიხცა,
 ჩვენს მეველეს ჰგავდა;
 იმას ბღვერით უცქეროდა,
 ვინც ხილს იპარავდა.

ბოლოს განზე გაუღდექით,
 დაუშინეთ გუნდა;
 შუადღისას მზემ დაადნო,
 გვერდზე გადაბრუნდა.

ერთი გუნდა მეც მომარტყეს,
 ვერსად დავიძალე;
 ამიწითლდა ლოყა-ყური:
 — ლაღე, ბიჭო, ლაღე!

ს. შანშიაშვილი.



დედა

გ

ქვილი



— დედიკო! შენ კეთილ თვალებს შემოგველე, გამიშვი, რა, ქალაქში სასწავლებლათა.

— სან იძახი სამუშაოთაო, ხან იძახი სასწავლებლათაი — მე შენი ველარაფერი გამიგია!

— სამუშაოთაც და სასწავლებლათაც!

— ორთავე ერთადა, ჰა!

— ჰო, ჰო, დედიკო! კიდევაც ვიმუშავებ და კიდევაც ვისწავლი!

— არა, შვილო, არა! ეგეთ რამეს ნულარ გა- მაგონებ, თუ ცოტა ხაზარი კიდე გაქვს ჩემი!

— რა არის, ადამიანო, ეგეთი ახირებაი! ესე მურაზათ ჩამიდგია გულში სწავლაი და შენ კი ნე- ბას არ მძღვე!

— ვერა, შვილო! დედისერთა გოგო ხარ, გე- ნაცვალე, ვერ გელევი, ვერა! საწყალი მამაშენი რომ კვდებოდა, სულს აქ მიტოვდა — ჩემ ჯოკროკინა გო- გოს გაუფრთხილდიო! შენ კი ეხლა მარტოდ გაგიშ- ვა ქალაქში!

— მარტო რათა! აი ჩვენებიანთ მათიკოც ხომ მოდის, თათარაანთ ნინაცა!

— არა, შვილო, არა! ყრუ ვარ ეგეთ თხოვნა- ზე! არ მესმის, არა! რომ ან კოკლი იყვე, ან ბრმა ან ყბამოღრეცილი, — კიდევ მესმის! ეგეთი მარწყევი- ვით გოგო და ისიც ჩვიდმეტი წლისა, სად უნდა გა- გიშვა უღედოთ იმოდენა ქალაქშია!

— სწავლა მინდა, ადამიანო, სწავლაი! მეც უნდა ადამიანებში გავერიო!

— როგორ! ამოდენა კოლექტივის ხალხი დასაწუ- ნიც გახდა! მაშ ჩვენ ადამიანები აღარა ვართ, ჰა!

— ყველაც ძალიან კარგია, მაგრამ მე მეტი მინდა, მეტი! ბოლოს თვითონ კომკავშირმა არ აგ- ვირჩია ეს სამი საუკეთესო — ქალაქში გასაგზავნა- თა!

— ნუ, ჩემო გოგო, ნუ დამიბრძავებ ორივე თვალსა, აგრემც გენაცვალეები ორთავე თვალითაცა და მთელი სიცოცხლითაცა! პირში სული იმიტომ შემრჩენია, რომ შენ გიკვირო, შე მაიმუნო, და შენ კი...

— დედიკო! ჩემო კარგო დედიკო! მე დარწმუ- ნებული ვარ, რომ არ ინანებ. მაშ ნუ დამიშლი! მით- ხარი — გზა მშვიდობისა-თქო!

— უწინამც ენა გამხმობია, რო მე ეგ არ გითხ- რა! როგორ! დედისერთა გოგო, ობლობაში და წვა-

ლებაში გამოზრდილი გოგო ეგრე გავუშვა ღვთის- ანაბარადა ათასნაირად აკრელებულ ქალაქში!

— ღვთის ანაბარად კი არა, დედიკო, არამედ მთავრობის ანაბარად, პარტიის ანაბარად, კაი ხალხის ანაბარად, მაშა!

— არა, შვილო, არა! ნულარ გამიმწარებ ორი დღის სიცოცხლესა! ჯერ შენი ხელით მიწა მომაყა- რე და მერე რაც გინდა ჰქენი! მერე ქალაქსაც ნუ- ლარ დასჯერდები, თუნდა მთელი დუნია ფეხქვეშაც ამოვიდვია!

— მაშ არ მძღვე ნებას, დედიკო?

— არა, შვილო, არა!

ელიკოს ძალიან უყვარდა დედა, მაგრამ მისი ნატერა უფრო ძლიერი გამოდგა. ამიტომ აღარ გა- უგონა მას და გასწია ქალაქისაკენ.

გრუზხათმიანი, ცქრიალა და კობტა გოგო ელი- კო ხალისით შეიჭრა დიდი ქალაქის დიდ ცხოვრე- ბაში.

აბრეშუმის ფაბრიკაში მოეწყო თავის ამხანა- გებთან ერთად.

ახალი პირობები, ახალი ხალხი, ახალი ცხოვ- რება ელიკოშიც აღვიძებდა ახალ ახალ ფიქრებს, ახალ-ახალ ძაღლონეს.

კობტა გოგო ელიკო ხელში რომ ართავდა აბრეშუმის ძაფებს, თავშიც ბრიალებდენ აბრეშუმის ფიქრები, გულშიც უღიტირებდენ აბრეშუმის ნატე- რანი.

ყველაფერი უსრულდება ისე, როგორც უნატ- რია ღამ-ღამე ძილგატეხილს, როგორც უნატრია კოლექტივის მინდვრებში მუშაობისას, როგორც უნატრია ცაში მონავარდე ჰაეროპლანებზე ცქერი- სას.

სადილობამდის მუშაობს ფაბრიკაში, სადილო- ბის შემდეგ კი სწავლობს.

ბედინიერია, კმაყოფილია ელიკო თავისი ცხოვ- რებისა დილა-საღამოთი და დედიკოსაც უზიარებს თავის სიხარულს:

„დედიკო, დედიკუნა! შენი გაუგონარი მათხო- ჯი გოგო ძალიან კარგადა ვარ ამ შენგან ათვალ- წუნებულ ქალაქში! სულ ვმუშაობ და ვსწავლობ. მე, მათიკო და ნინა ერთადა ვცხოვრობთ. ახალი ამხანაგებიც ბევრი მყავს ეხლა.

რომ იცოდნენ, რა ბედნიერი ვარ, შენც გაიხარებ ჩემსავით, ჩემო საყვარელო, კარგო დედიკუნა! ჩქარა, ჩქარა გაგახარებ ჩემი სწავლით და ყველაფერს მაპატიებ შენ ვაუგონარ, საძაველ გოგონას! გკოცნი და გეხვევი ყელზე. შენი ელიკო“.

მუშაობიდან მოკლილი მაგდა ჩამომჯდარა სახლის სიძირკველზე და მეხუთედ თუ მეათედ კითხულობს თავისი კულრაჭა გოგოს მონაწერს. ჰკონია — ყოველი ახალი წაკითხვით რაღაც ახალ ამბავს გაიგებს თავისი გოგონას შესახებ, რაც თითქოს უნებლიედ გამოჩნდა წინა წაკითხვის დროს.

ბოლოს გამოართვა თავმჯდომარეს ერთი თაბახი ქალაღი და შეუდგა საკუთარი ხელით პასუხის გამოთქმას საკუთარი გოგონასადმი.

„საუ შენ ბედნიერი ხარ, ჩემო კოკროქინა გოგო, მეც ბედნიერი ვარ. მე პირში სული მხოლოდ შენთვის მიდგია. რახან არ ვამიგონე და თავებდად გაიარე, სახელოვანი მაინც გამოდი, რომ ყველა შეგნატროდეს.“

ტკუთით მოიქეცი. კაი ამხანაგებთან იარე. ბიჭბუჭებს არ აჰყვე უშნოია. ვინმემ რო შენი საზრახისი მითხრას, მიწა რო გამისკდეს და ჩამიტანოს, ის მირჩენია.

რაც იმუშაო, სულ შენ თავზე მოიხმარე, ჩემო ურჩო, ჩემო საყვარელო გოგონი!

თუ კარგად მოიქცევი და კარგად ისწავლი, სიხარულით მამაშენიც კი საფლაგში გადატრიალდება.

მართლა, რატომ არა მწერ, შევილო, რასა სწავლობ? ეს ვიცე, რომ აბრეშუმის საქმეზე მუშაობ, მაგრამ სწავლისას კი აღარაფერს მატყობინებ. ყველაფერი მომწერე, შევილო! ამ პა არა წერილებით მაინც გაგახარებ ხოლმე შენს ნახვას დანატრულებული შენი მშობელი.

თუ შენც მოგენატროს ჩემი ნახვა, მომწერე, გენაცვალე, და იმავე დღეს წამოვალ შენს გასახარად.

გწერს შენ ნახვას დანატრულებული დედა მაგდა“.

ელიკოსავით კულრაჭა და ცელქი დღეები ზედიზედ მიქრიან, მიგოგმანობენ.

ელიკოც ყოველდღიურად სულ წინ მიდის. მიდის თუ მიფრინავს—ველარ გაურკვევია. მუშაობა და სწავლა ნამდვილ დღეობად გადაჰქცევია.

ცხოვრების ნოყიერ მკერდს ასე ხარბად დაწაფებული გოგონა რამდენ რაჟის იძენს, რა სისწრაფით იზრდება—თვითონაც უკვირს! მან ჯერამ არ იცის—რა არის დალაღვა და გაბეზრება. პირიქით, ის ერთობა მუშაობითაც, სწავლითაც და როცა მოიცილის, თავის ხალისიან ამხანაგებს არ ჩამორჩება არც სიმღერა-თამაშში, არც სხვა მრავალგვარ ვართობასა და ვარჯიშობაში.

მისი დედიკო კი ხამუშ-ხამუშ გაახარებს ხოლმე სოფლიდან ნუგბარად გამოგზავნილი ამანათით.

აი ეხლაც თვალგებანთებული ელიკო გზნებით კიბხულობს საბჭოთა გმირის გადაფრენაზე ჩრდილოეთ პოლუსისაკენ და ამ დროს მის კარებთანაც მოჭრინდა დედისაგან გამოგზავნილი ამანათი. გიჟმა გოგონებმა და ბიჭებმა მამინვე სიხარულის ყიჟინა დასცეს:

—მოვიდა, მოვიდა, რასაც ველოდით!

ფრთებშესხმულმა ელიკომ მიმინოსავით აიტაცა ამანათი,

—შენ-კი გენაცვალე ხელეებში, ჩემო საყვარელო დედიკო!



—ხელეებში კი არა, გულში, გულში, გოგო!— შესძახის მათიკო.

—გულშიც ვენაცვალე და ხელეებშიაცა ჩემ ლამაზ დედიკუნას!

გახარებული ამხანაგები ჟრიამულით შემოეხვიენ ამანათს.

—გახსენი, გოგო! გახსენი ჩქარა! დამბლა ხომ არ დაგემართა ხელეებში!

—მე ვაშლის სუნი მომდის!

—მე კიდევ მსხლისა! გულაბი, ყვითელი მსხლისა!

—მე კი ჩურჩხელების სუნიც მომდის!

ელიკო ხსნის, კისკისებს და თან:—ყელზე დაგადგეთ ვაშლიცა, მსხალიცა და ჩურჩხელაცა, თქვე მსუნაგებო, თქვენა!

სიცილით, ხარხართ, ოხუნჯობით სულერთიან გათაქეს ელიკოს გემრიელი ძღვენი.

—გოგო ელიკო, რა არის, დედაშენი ცოტა მეტს ვერ გამოგზავნიდა?

—ელიკოს ალბათ არ მიუწერია, რომ კარგი ამხანაგებიცა ჰყავს აქა.

—მისწერე, გოგო, მისწერე! ამასიქით იცოდეს დედაშენმა და უფრო მეტი გამოგიგზავნოს ხოლმე, რომ ცოტა შენც გერგოს რაზე!

—მე მივწერ, რომ ამასიქით აღარაფერიც არ გამოგზავნოს: თქვენისთანა მსუნაგებს სამტრეს-

ტიც კი ვერ გააძღვებ, არამც თუ დედამისის მიერ გამოგზავნილი ძღვენი!

გოგმაჯა გოგონებმა და ბიჭებმა ასე ჩაიტკბანურეს პირი, იოხუნჯეს, იმხიარულეს და ბოლოს კოლექტიურად მადლობის წერილი მისწერეს ელიკოს დედას.

თვითონ ელიკომ კიდევ ცალკე ბარათი მიაცოლა საყვარელ დედის გასახარად:

„ჩემო კარგო დედიკო! არ მოიწყინო! ოქტომბრის დღესასწაულზე რამდენიმე დღით თავისუფალი ვიქნები და უეჭველად მოვალ. მოვალ და გაგახარებ კიდევ, ძალიან გაგახარებ!

შენი ურჩი და საძაგელი შვილი

ელიკა“.

ოქტომბრის დღესასწაული.

სტალინისის გარეთ, ტრიალ მინდორზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი — საზეიმო შეკრებაზე. ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები, განსაკუთრებით კი კოლექტიველები, სულ აქ არიან.

მაგდაც იქავე ტრიალებს თავის მეზობლებთან ერთად. მაგრამ ის მოსვენებას ვერსად ვერ პოულობს.

წამდაუწუმ შუბლზე ჩამოიფარებს ხელს და გაქცერის სადგურის გზას. ყოველ წუთს, ყოველ მატარებელზე ელის ელიკოს, დედისერთა გოგო ელიკოს!



შორიდანვე ავირდება ყველა მომავალს, ყველაში ეძებს თავის ერთადერთ ნუგეშს, მაგრამ ის ცუდლუტი გოგო არსადა ჩანს. ნუთუ მოატყუა საყვარელი დედა, რომელსაც ლამის თვალები გამოალამდეს მის გზაზე ცქერით?

შეშოთებულმა მაგდამ აღარ იცის სად წავიდეს, ვის დაელაპარაკოს, როგორ გალიოს წლად გადაქცეული თვითელი წუთი.

შფოთავს და ღელავს დედის გული. ათასგვარ საშინელებზე ფიქრობს, რომელიც შეიძლება თავს დაატყუა მოულოდნელად მის სათაყვანებელ კოკროჩინა გოგონას.

ჰაერში გაისმა გუგუნი.

ყველამ ცას შეხედა, ბავშვებმა შექნეს ყიფინა და ხტუნაობა:

— ჰაეროპლანი!

— ჰაეროპლანი!

ათასი თვალი ღიმილით ეგებება ფოლადის ფრინველს.

მაგდასაც თითქოს წუთიერად დაავიწყდა თავის დედისერთა გოგონას დარდი და ცაში მისიერება.

უცებ ხალხში შეიქნა ჩოჩქოლი.

— რაღაცა გადმოავდო!

— ტომარასა ვაგს!

— არა, ჯირკვია რაღაცა, კაცო!

— გასასკდომი არაფერი იყვეს, კაცო, გამოეცათ აქეთა!

უცებ ხალხში შეიქმნა სულ სხვა განგაში:

— ქოლგა ყოფილა, კაცო, ქოლგა! უყურეთ, რა ლამაზათ გაიშალა.

— ბოლოზე კი კაცი უნდა იყვეს, მე მგონი: უყურეთ, როგორ ინძრევა!

— ჰო, მართლა კაცია! უყურეთ ფეხებსა!

— ხელებსაც აქნევეს, ხელებსა!

მაგდა კი გაჰკვივის:

— უშველეთ, ხალხო! მიწაზე რო დაენარცხოს, ხო სული აღარ დაჰყვება!

ამ დროს პარაშუტიც დაეშვა მიწაზე.

მთელი ხალხი იქითკენ გაექანა.

მაგდაც გარბის კრიახით:

— ვაი მაგის გამწარებულ დედასა; მაგას რაღაც ცოცხლებს, ხალხო! მიწას დაასკდებოდა ვაშლივითა! უშველეთ ჩქარა, ეგებ კიდევ მიუსწროთ ცოცხალსა!

ამ ვაივავლახით მაგდა მიარღვევს წრეს პარაშუტისაკენ.

ამ დროს ვილაცის მძღაფრი მკლავები შემოეჭლო იმის ყელს. ვილაცის მხურვალე ტუჩები ჰკოცნიან იმის თვალებს.

— დედა! დედიკო! ეს მე ვარ, გენაცვალე, შენი ელიკო!

მაგდას ერთხანად სული ვერ მოუთქვამს, გარუებულებით ტორტმანებს. ბოლოს თითქოს გონს მოვიდა:

— ჩემი დედისერთა გოგო! ჩემი ელიკო! ეს შენ იყა, გენაცვალე, ციდან რო ჩამოფრინდი?!

— მე ვიყავ, დედიკო, მე! ხომ შეგპირდი, საოქტომბროდ მოვალ მეთქი! აი კიდევაც შეგისრულე დაპირება!

მაგდას სიხარულისაგან ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის:

— ხალხო! მომილოცეთ, ხალხო! ხო ხედავთ, რა ბედნიერი დედა ვარ! შეილი ციდან ჩამომიფრინდა!

ხალხი სიხარულითა და აღტაცებით ეხმაურება დედა-შვილის შესხვედრას.

მაგდა ღვრის ნეტარების ცრემლებს, ეხვევა თავის თერთმეტი თვის უნახავ გოგონას და თან ლულულულებს:

— შენ გენაცვალე, შენა, ჩემო ზეციდან მოფრინილო გოგონა!

ლევ. მებრეველი



როცა ლექსს ვწერ და გადამაქვს
თეთრ ქალაღზე გრძნობა, ფიქრი,—
სოფლებში თუ ქალაქებში
ყველა თვენგანს ვხედავ თითქმის.
ვხედავ ნათლად მგოსნის თვალით
თვითთულის გულს და აზრებს
და სტრიქონსაც ამ სინათლით
ვაკეთებ და ვალამაზებ.
აი, ახლაც ერთი ჯგუფი
ზის ბალში და უმზერს ბათომს:
ზოგს ქალაქი, ზოგსაც სიო
და პილმების რხევა ართობს.
იციანიან, ისვენებენ,
მზიარული არის ყველა...
ზღვას ღვიძავს, და გემი დროშით
ნაესადგურში შედის ნელა.
დღის სიკარგე გულში ბადებს
მრავალ სურვილს, მრავალ ნატვრას.

შემოდგომის ნაზი ხელით
მზეც მიწაზე ხეებს ხატავს.
როცა ლექსს ვწერ და გადამაქვს
თეთრ ქალაღზე გრძნობა, ფიქრი,—
სოფლებში თუ ქალაქებში
ყველა თვენგანს ვხედავ თითქმის.
როგორ მინდა ვიყო მუდამ
ახლაგაზრდა, ახლო თქვენთან,
ესაუბრობდეთ, ვმუშაობდეთ,
ესეირნობდეთ ბალში ერთად!
გაიხარეთ, ინავარდეთ,
ხმა და შრომა თქვენი მიყვარს,
თქვენით იძენს დარდს თუ ხალისს
ჩემი ლექსი, ჩემი სიტყვა!
კვლავ გიმღერებთ დიდხანს, ვიცი,
მაქვს ამდენი ძალა, ნება,
და თუ სტრიქონს, თუ ხმას ფრთხილად
მომიწონებთ,—მეამება!

გიორგი კახანიძე

გ ე თ ხ რ ა ვ ე ჯ ა

ვლადიმერ ვასილევსკის ვოვას ეძახდნენ. ცელქი
ბიჭი იყო, მოუსვენარი.
— ვოვა, დაწყნარდი!
— ვოვა, ნუ ცელქობ!
— ვოვა, არაფერი დაამტვრიო!
— ვოვა, ჩუმაღ, მამას სძინავს!

მამა რკინისგზის სარემონტო ქარხნის მუშა იყო,
ძველი ბოლშევიკი, სამოქალაქო ომში მონაწილეო-
ბის დროს ჭრილობა მიიღო. გაუკურნავი შეიქნა ის
ჭრილობა. ბევრი ებრძოლა, მაგრამ ბოლოს ავმა
სენმა თავისი გაიტანა.

ვოვა დაობდა. დედამისმა ქმრის გარდაცვალე-
ბის შემდეგ საქსოვ ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

ვოვა წამოიხარდა, ახლა უკვე სკოლაში დადის;
თუ საბავშვო ბალში ბევრს ცელქობდა, ახლა დინ-
ჯად არის; უკვე მესამე კლასის მოწაფე გახდა.
სწავლაში ფრიადოსანია.

სკოლაში იგი ყველაზე უფრო თავდაცვა-ავია-
ქიმის წრემ დაინტერესა.

სკოლიდან რომ შინ მიდის, ხშირად შეჩერდება
და ცას მესცქერის.

— ახლა რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა
გამოიაროს და მომწამვლელი ნივთიერება ჩამოყა-
როს, ხომ გავიგულებით და მოვიწამლებით,—ფიქ-
რობდა ვოვა.

— ასე არ ვარგა, მუდამ მზად უნდა ვიყოთ,—
ამბობდა იგი თავისთვის და გზადაგზა სულ იმაზე
ფიქრობდა, თუ შინ როგორ მოეწყო თავდაცვა-
ავიაქიმის წრე.

— უნდა მოვაწყო, აუცილებლად, უნდა მოვაწყო
და ჩვენი საბინაო ამხანაგობის ყველა პიონერი და
მოწაფე უნდა ჩავაბა ამ სამუშაოში!
გადაწყვიტა და საქმეს შეუდგა.

თავდაცვა-ავიაქიმის სარაიონო საბჭოს შენო-
ბაში მორბევი მეცადინეობა მიმდინარეობდა. ვოვამ
გაკვეთილების შემდეგ მოკრძალებით შეალო კარე-
ბი და კედელს აეტუზა. როცა საუბარი დასრულდა
და ყველანი დაიშალნენ, მხოლოდ მაშინ შენიშნეს
იგი.

— შენ რალა გინდა, პატარავ?—მიმართა მას
თავდაცვა-ავიაქიმის ინსტრუქტორმა ბოგატერიოვას
ქალმა.

— თავდაცვა-ავიაქიმელთა წრე მინდა მოვაწყო
ჩვენი საბინაო ამხანაგობის პიონერთა შორის.


— დაგეხმარებით, ჩემო კარგო, ხელს შეგიწ-
ყობთ; ყოჩაღ, რა კარგი სურვილები გქონია!—უთ-
ხრა მას ბოგატერიოვამ.

ამის შემდეგ გაიმართა საქმიანი მუშაობა. თითქ-
მის ყოველდღე ვოვას რამე მიჰქონდა შინისაკენ: ხან
აირწინალი, ხან საკაცე, ხან ჩანთები და სხვ.

საბინაო ამხანაგობამ ერთი ოთახი მიუჩინა თავ-
დაცვა-ავიაქიმელთა წრეს.

ვოვამ საბინაო ამხანაგობაში მცხოვრები ყველა
მოწაფე და პიონერი ჰაბა თავდაცვა-ავიაქიმის წრეში.

თითქმის ყოველდღე სკოლის შემდეგ წარმოებს
საუბარი, რომელსაც უსმენენ: გივი, ქეთო, ნინო,



ნათელა, რეზო, რუბენი, სერგო, თინა, ნოდარი, ოთარი, მერაბი, კოკა და სხვები.

ყველაზე მეტ აქტიობას ვოვა იჩენს. ის ყველაზე უფრო მტკიცედ ეკიდება ამ საქმეს. განა სხვანაირად შეიძლება? ის ხომ დამაარსებელია ამ წრისა!

მან უკვე კარგად შეისწავლა აირწინალის ყოველი ნაწილი და ფრიადზე ჩააბარა გამოცდა ინსტრუქტორს.

— აი, ეს მთლიანად აირწინალია, — დაიწყო ვოვამ, — ეს კიდევ ჩაფხუტი. ჩაფხუტს მისდევს რეზინის ნაოჭიანი მილი, მილს მობმული აქვს კოლოფის საყელური, საყელურზე ჩამოკიდებულია შთან-მთქმელი კოლოფი, ამ კოლოფს ქვემოთა სიბრტყეზე შესასუნთქი სარქველი ახლავს.

— სადღა ამოსასუნთქი სარქველი? — იკითხავთ თქვენ.

ამოსასუნთქი სარქველი აირწინალს ვაკეთებუ-ლი აქვს ჩაფხუტის ყელთან, სადაც იგი უერთდება რეზინის ნაოჭიან მილს სამმილაკის საშუალებით.

წინათ რეზინის ნაოჭიანი მილი ჰატარა იყო, მოკლე; ეს უხერხულობას ქმნიდა, რადგანაც შთან-მთქმელი კოლოფი მუდამ ხელში უნდა გვეროდა. ახლა მილი 40—60 სანტიმეტრიანი კეთდება, რომ შესაძლებელი იყოს შთანმთქმელი კოლოფის ჩანთაში ჩადება. ასეთ პირობებში ხელები სრულიად თავი-სუფალია სამოძრაოდ, რაც ფრიად საჭიროა თავ-დაცვის დროს.

— ახლა ვნახოთ, რა აქვს ჩაფხუტს წინიდან ვაკეთებული?

— ჩაფხუტს წინიდან აქვს ლითონის ჩარჩოში ჩასმული სათვალეები; ამ სათვალეების ცქიტში ჩას-

მულია სამფენიანი მინა—ტრიპლექსი—ეს იმიტომ, რომ თუ სათვალე გაიბზარა, არ ჩამოვარდეს. გარდა ამისა ჩაფხუტს წინიდან აქვს რეზინის ცხვირი, — უფრო სწორი იქნება, თუ მას სათითე ვუწოდებთ, რადგანაც მისი საშუალებით, თითით შეიძლება მინის გაწმენდა დაორთქლის შემთხვევებში.

— ყოჩაღ, ვაშა, ვაშა! — შესძახეს ვოვას და ყველა დამსწრემ ტაში დაუკრა.

ვოვას შემდეგ წრის ყველა მონაწილემ ჩააბარა გამოცდა. შემდეგ ყველამ გაიკეთა აირწინალი, რომ პრაქტიკულადაც ეჩვენებიათ ინსტრუქტორისათვის აირწინალის მოხმარების ცოდნა.

ინსტრუქტორს ამ საქმეში დახმარებას უწყვედნ უფროსი პიონერი იდა კარბელაშვილი და ვოვას დედა კატო.

— თინა ცუდად შეიქნა, თინა, უშველეთ, უშველეთ! — გაისმა ინსტრუქტორის ხმა.

დაფაცურდნ ავიაქიმელები. მოიტანეს საკაცი, ზედ თინა დააწვინეს, მყუდრო ადგილისკენ წაიყვანეს, იქ მას აღმოუჩინეს პირველი დახმარება, „კრილობა“ შეუხვიეს. ვოვამ, როგორც ყოველთვის, ამა-შიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო. მას აირწინალი ბოლომდის არ მოუხსნია.

რა თქმა უნდა, თინას ცუდად გახდომამ მოგონილი იყო, მაგრამ ამ ხერხს ინსტრუქტორმა იმიტომ მიმართა, რომ საჭიროების დროისათვის განზომამ ამ წრის წევრთა შესაძლებლობა და უნარი.



ნეტავ იგი ვინ არის,
მხედრულად რომ აცვია;
გამბედავი, მცინარი,
ქალია თუ კაცია.
სწორედ ქალიშვილია,
გოგინტიქე ფადიმე,
მას ცა დაპყრობილი აქვს
და მზე ჰყავს მონადიმე.
სულ თვრამეტი წლისაა
ეს პილოტი გოგონა;

გული კი ცეცხლისა აქვს,
აჩენს ჭიაკოკონას.
ის პირველი ქალია
ამ აჭარისტანიდან,
ვინც დაღეწა ვალია,
ვინც აისხა ფრთანი და
ლაქვარდ ცის კამარიდან
მზის სალამს გვიგზავნიდა!

გ. ჭუჩუხიანი.

მთავის მგოსანი

მთებზე ჩამოწვა ზოგები,
თითქოს დაკარგეს მაჯაი,
მწარედ ყივიან ყოველი:
„არა გვეყავს ჩვენი ვაჟაი!“
არწივებს მოაქვთ ამბავი,
ტირის ჩარგალი, არგუნი:
ვიღამ გვიმღეროს ახალი
ლექსი — ფოლადის ფრანგული! ¹⁾
ცრემლებს ყრის ბერი ჭანდარი,
დიყა და შუპყა ცვრიანი,
სთვლობაა... ვაჟას საფლავსა
ცრემლი სდის მარლიანი.
სვაფი დასცქერის მიწასა,
ფრინგელთ შეუკრავთ პირები,
ქუჩი ჩასცქერის ხეობას
მგოსანზე ანატირები.
ჩქამი მოისმა მთებიდან,
ყუდილით ადგა ბებერი:
— ვაჟავ, გმირები დგებიან,
ხარობს მწუხარე ეთერი,
მინდიას გულზე მოეშვა,
მსხვერპლი არ გახდა გველისა,
ჯოგში ცხვარ-ძროხას აძოვებს,
ახალი ყოფა ეღირსა.
მთიელთა კოლექტივებში
დამკვრელი გმირი რიალებს,
დაჭლალოდია ბიჭისა,
როცა შრომაში ტრიალებს,
„ვაშა მშრომელის მარჯვენას!“
ყოველი მხრიდან გრიალებს.

ვაჟავ, ჩარგალი იცვლება,
სათირებ-სალაღებია,
კლდეებს, მძინვარე მყინვარსა
გმირები დაჭბადებია!
არხოტიონი — სპასპეტი
გმირ ვოყებს შესქიდებია,
ყაჯარი ისევ ბინადრობს,
ნისლით მოსილა მთანია,
ვაჟავ, გიწვევენ გმირები,
მით ცოლშვილს გაუხარია!
აღარ გაისმის ფშავლებში
ვიში, მოთქმა და ზარია,
ფრანგული აღარ გვჭირდება,
შრომა გასახარია,
მოსულან თუშის ქალები,
ცაზე კაშკაშა დარია,
ვაშა მშრომელის მარჯვენას,
მეც მათთან გამიხარია...
მთებზე ჩამოწვა ნისლები,
თითქოს არ ფეთქავს მაჯაი,
ტირიან დარბაისლები:
„არა გვეყავს ჩვენი ვაჟაი!
ნულარ ბეჩაობთ, ვოყებო,
გული რკინის გვაქვს კაჟაი!
ცრემლებს ყრის ბერი ჭანდარი,
დიყა და შუპყა ცვრიანი,
სთვლობაა, ვაჟას საფლავსა
ცრემლი სდის მარლიანი...“

ამთანდომ კაშხაკა

¹⁾ ფრანგული — ხმალი.

ფ შ უ ტ ა რ ა



მუზეუმში იყო თადე,
ნახა, რაც კი არ ენახა;
ერთ ოთახში შეიყვანეს,
„ვაიმეო“ — დაიძახა.

ხედავს მხეცებს დაღრენილებს,
ილესავდენ თითქოს კბილებს.
ლომი იდგა,
ვეფხვი ხტოდა,
დათვი ტყიდან გამოვობოდა.
იქვე ტურა
და აფთარი,
საშინელი
და საზარი.

აგერ მგელი,
აგერ მელა!
თადემ ნახა
თითქმის ყველა,
შეეშინდა და ამიტომ
„ვაიმეო“ დაიძახა.

სკოლის გამგემ შეამჩნია,
რომ შეშინდა იქ პატარა;
უთხრა: „განა ნამდვილია:
ბზით სავსეა ეგ ფშუტარა“!

ს. შანშიაშვილი

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

ზამთრის საღამო ჩამოწვა
ლურჯად გადაშლილ ზღვაზე,
თოვს, და ნიავი სისინებს
თოვლის შრიალის ხმაზე.

ვდგავარ და კარგახანია
თვალი ზღვის ცქერით ძღება,
წინ გადაშლილი წყალია,
უკან — პალმების წყება.

შორს, ნამტირალეგ ბავშვივით,
დგას ჰორიზონტზე ნისლი,
ტალღა, ტალღაზე გაშლილი,
შხეფებს კლდეებზე ისვრის.

კონცხი ტალღებზე იხრება,
ჩამოირიცხა ღაწვი,
ფრთადაწურულმა იხვებმა
გაისრიალეს თვალწინ.

შევკანკალდები ყინვისგან,
მაგრამ, ჰა, აგერ თითქოს
შორეულ გედის ყვირილმა
სივრცეს შეჰმატა სიტბო.

კონცხზე ბამბაა ნათოვო,
გადაპენტილა სივრცე...
თოვლში ჩაფლული ბათომი
ელვის თვალებით მიცქერს.

დგას ათასთვალეებიანი.
კოხტა ქალაქი ჩემი...
როგორც სტუმარი გვიანი,
შედის სადგურში გემი.

შორს, ნამტირალეგ ბავშვივით,
დგას ჰორიზონტზე ნისლი,
ტალღა ტალღაზე გაშლილი,
შხეფებს კლდეებზე ისვრის.

გ. კალანდაძე.



ეგებ თქვენ, ყმაწვილებო, ლევარსის ნაამბობ-
შიაც ექვა შეგდით. ამიტომ ამ თავში მოვისმინოთ
მისი კარგი ნაცნობების ნაამბობიც.

ლევარსი მასწავლებლად

ახალგაზრდობისას ლევარსი ჩვენს სოფელში იყო
მასწავლებლად მთელი წლის განმავლობაში.

ერთხელ მის სკოლას რევიზია ეატუმრა ქალა-
ქიდან.

— რას ნიშნავს ქართულად „ვინოგრად“? —
ჰკითხა რევიზიამ მოწაფეებს.

— ქალაქია, ბატონო! — ერთხმად უპასუხა სკო-
ლამ.

— როგორ თუ ქალაქი? კარგად დაფიქრდით,
ყმაწვილებო!

ლევარსიმ თვალთ ანიშნა მოწაფეებს, რომ პა-
სუხი სწორი იყო და არ გადაეთქვათ.

— „ვინოგრად“ ქალაქია, ბატონო! — იმეორებ-
დენ მოწაფეები.

— რა იცით, რომ ქალაქია?

— მასწავლებელმა აგვიხსნა. „ვინო“ ღვინოა და
„გრად“ — ქალაქი.

— სად არის ეს ქალაქი?

— კახეთშია, ბატონო. იქ არის ბევრი ღვინო!
ლევარსი ჩუმად თავს უქნევდა მოწაფეებს და
ამხნევებდა.

— მანახვეთ რუკაზე სიცილია, — უთხრეს მეორე
მოწაფეს.

— აჲ არის, ბატონო, სიცილია — ხელათ უჩვენა.

— რატომ ჰქვია ამ კუნძულს „სიცილია“? —
განგებ შეეკითხნენ.

— იმიტომ, რომ იქ მცხოვრები ხალხი მუდამ
მხიარულია, მუდამ იცინის. იქ მუდამ სიცილია.

ლევარსი სიამოვნებით იღიმებოდა და ტკბე-
ბოდა შევირდთა პასუხით.

მიუხედავად ამისა, ლევარსი მეორე დღესვე
მოხსნეს.

— ეს ჩემთვის უმჯობესია, უფრო სახიროს საქ-
მეს მოვიკიდებ ხელს, — მოზერების გახედნას! — თქვა
ლევარსიმ და დატოვა სკოლა.

ლევარსი მამასახლისად

ლევარსის სამამასახლისოში ბევრი სოფელი შე-
დიოდა.

ერთ სოფელში სკოლის აშენება წამოიწყეს. ყვე-
ლაფერი მზად იყო, მაგრამ სოფელი ორად გაიყო
ალაგის ამორჩევის საკითხში. ერთი ნაწილი, რომე-
ლიც საყდართან იყო ახლოს, ამბობდა:

*) მოხერხებული ადგილი.

— ცენტრი საყდართან არის. სკოლა საყდართან
უნდა აშენდეს!

ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც დიდ ცაცხეთან,
გზაჯვარედინზე იყო ახლოს, ამტკიცებდა:

— აქ კარგი სენთია!), ცენტრიც აქ უფრო არის.
ამიტომ სკოლა აქ უნდა აშენდეს.

საქმე იქამდის გართულდა, რომ მაზრიდან ბო-
ქაული ამობრძანდა თავისი ამალით. მან დათვლი-
ერა ადგილმდებარეობა და ხალხს მიმართა ქარ-
თულად, რუსული გამოთქმით:

— ტკვენ კარგი ხალხი კოპილხარტ, მაგრამ
ტავი გაცხელებული გკონიატ. ჩხუბი სკოლას არ
უნდა. ცენტრი სად არის, სკოლაც იქ არის. აჰა,
შენ ტკვი, ლევარსო, ცენტრი სად იკოს? — შეეკათხა
ლევარსის.

— ცაცხეთან არის, ბატონო.

— რატომ იქ არის?

— აი აქედან ვხედავ, ბატონო! — და ლევარსი
პირაღმა დაგორდა მიწაზე. — აქედან (კის თალი ისე
მოჩანს, როგორც საყდრის გუმბათი. უჩველად აქ
არის ცენტრი, და არა მატო ამ სოფლის, არამედ
მთელი ქვეყნის. სკოლაც აქ უნდა აშენდეს.

ბოქაულმა ბევრი იცინა და ლევარსის მხარზე
ხელი დაჰკრა.

— კოჩაგ, ლევარსი. მაგრამ სკოლა ეკლესიასტან
უნდა აშენდეს. გმერთი, ხრისტე, ხატი ახლოს იკ-
ნება. კმაცვილები უპრო ისცავლიან!

ასე გადაწყდა ცენტრის საკითხი.

წასვლისას ბოქაულმა ლევარსის ხელი ჩამოართვა.

ლევარსი სიხარულით ცას სწვდებოდა, რომ ბო-
ქაულმა ხელი ჩამოართვა ხალხის თანდასწრებით.

როცა შინ დაბრუნდა, სულ იმაზე ფიქრობდა,
თუ როგორ ეთქვა ცოლისთვის ეს ამბავი.

სადილის საჭმელად რომ დაჯდა, ხელი არ დაუ-
ბანია: ცოლი შეეკითხება რატომ არ იბანო, —
და მეც ვუამბობ ყველაფერსო.

მაგრამ არ გამართლდა მისი ფიქრი. ბევრს ეცა-
და ლევარსი სხვა ამბისთვის მოება ეს ამბავი, მაგრამ
არ გამოდიოდა არაფერი. სადილს ათავებდა და
ამბავი უთქმელი რჩებოდა.

— იმისი არ იყოს, დღეს ბოქაულმა ხელი ჩა-
მომართვა, ერთი კოვზი ლობიო კიდევ დამისხი! —
უთხრა ლევარსიმ ცოლს და თევში გაუწოდა. ლე-
ვარსის ეგონა, რომ ცოლი დაინტერესდებოდა და
დაწვრილებით გამოჰკითხავდა, მაგრამ ელუკიმ უსა-
ყვედურა:

— რა ვეშაბი ჩაგიძვრა მაგ მუცელში, რომ არ
იქნა შენი გაძლომა! — და თევში ლობიოთი გაუფ-
სო. — საინზე ლობიო არ დატოვო, კარგად მოწმინ-

დე: მორცხვის თავი არა მაქვს! — გააფრთხილა ცოლმა ლევარსი.

ლევარსიმ პირნათლად შეასრულა ცოლის მოთხოვნა და დიდი ვაივაგლახით შეჭამა მეორე თევზი ლობიო.

თავადის გადაჩენა

თავადი, რომელსაც ლევარსიმ ცხენი მოჰპარა, მოკვლას ემუქრებოდა ლევარსის. მაგრამ ფითონ თავადი გლეხების შიშით ვერ ბედავდა მამულიდან გამოსვლას. მისი მრისხანება განთქმული იყო მთელ კუთხეში.

— რას დამაკლებს! ეზოდან გადმოსვლას ვერ ბედავს, მე კი ახლოს არ გავეკარები! — ამზობდა ლევარსი და ყველგან არხეინად დაიარებოდა.

ერთხელ იგი ისე გაიტაცა თევზაობამ, რომ თავადის მამულში შევიდა.

უცბათ ყვირილი მოესმა.

ვილაც იხრჩობოდა.



ლევარსი საშველად გაიქცა. სწრაფად გადაეშვა ტბაში და წყალწაღებული ნაპირზე გამოათრია, პირქვე დააყუდა, ჩაყლაპული წყალი დააღვრევინა და გონებაზე მოიყვანა.

გონებაზე მოიყვანა და... იცნო თავისი მტერი თავადი.

— ლევარსი, ეს შენა ხარ? შენ გადაამარჩინე? მართალია, ფიცი მქონდა თქმული, რომ პირველი შეხვედრისთანავე მოტკლავდი, მარა ახლა, რასაც მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებ. მთხოვე რაც გინდა, ყველაფერს მოგცემ, ყველაფერს შეგისრულებ! — და მადლობის ნიშნად ლევარსის მოეხვია.

— ერთ რამეს გთხოვ, თავადო!

— ერთი რა არის, ბევრი მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ!

— ერთ რამეს გთხოვ, თავადო: არსად წამოგცდეს, რომ დახრჩობას გადაგარჩინე, თორემ, სულერთია, ხალხი მომკლავს.

— რატომ?

— რად გადაარჩინე ჩვენი ბატონიო!

თავადს ელდად ეცა გულზე ლევარსის ეს სიტყვები, მაგრამ მისთვის არაფერი უთქვამს.

თავადის ხუმრობა

ეს ამბავი ლევარსის ჯეელობის დროს მოხდა.

თავადი შეხვდა ლევარსის და უთხრა:

— ლევარსი, ხვალ დილით ადრე ოზურგეთში უნდა გამეგზავნო ნაკაშიძესთან. სერიოზული საქმე მაქვს და სხვას ვერავის ვენდობი.

მეორე დღეს კარგად გათენებული არ იყო, როცა ლევარსი ნაკაშიძეს ეახლა ოზურგეთში.


— ბიჭო, ამ უთენია რამ მოგიყვანა? — შეეკითხა თავადი, რომელსაც უძილობა სჭირდა და ადრე დგებოდა დილით.

— თავადმა გამომგზავნა თქვენთან, ბატონო!

— რაო, რა დავიბარა?

— რაო და... გუშინ მითხრა — ოზურგეთში გამეგზავნე ხვალ დილით ნაკაშიძესთანო. და მეც გიახელ.

— ჰო, ვიცი, ვიცი... ახლავე! — უთხრა ნაკაშიძემ და აივნიდან სახლში შევიდა.



ცოტა ხნის შემდეგ ნაკაშიძის ბიჭებმა ლევარსის საესე ხურჯინი გამოუტანეს ეზოში.

— აი, ეს მიუტანე თავადს, ამის წამოსაღებად გამოგაგზავნა! — უთხრა ნაკაშიძემ ლევარსის, რომელსაც სამმა ბიჭმა ძლივს აპკიდა ხურჯინი. უცბათ დიდი სიმძიმის დაწოლისაგან ლევარსი კინალამ ჩაიკეცა, მაგრამ ძალღონე მოიკრიფა (ნაკაშიძესთან თავსა და თავის ბატონს ხომ არ შეარცხვენდა?) და გზას გაუდგა.

წელში გაწყვეტილი და ოფლში გაწურული მივიდა ლევარსი თავადთან.

— ლევარსი, სადა ხარ ამდენხანს? დილით ადრე უნდა წასულიყავი ოზურგეთი...

მაგრამ ლევარსიმ სიტყვა აღარ დაასრულებინა თავადს:

— მე უკვე ვიყავი ოზურგეთში და...

მაგრამ ახლა თავადმა აღარ დაასრულებინა სიტყვა ლევარსის:

— მერმე და რა უთხარი, როცა მე შენთვის არაფერი დამიბარებია?

— განა ვერ მიგხვდებოდით? უკვე მოვიტანე, რაც მოსატანი იყო! — და ლევარსიმ თავადს საესე ხურჯინი დაუდკა წინ.

თავადმა გახსნა ხურჯინი და... ხარხარი მორთო. ხურჯინი საესე იყო ქვებით.

ი. ხინციფლი.



ჩვენი რკინისგზა

მიქრის პატარა მატარებელი,
ქშენით, ხმაურით, ხეებთა შორის,
გამხარებელი მრავალთა გულის,
ნაყოფი ჩვენი საკუთარ შრომის.

მიქრის და მიყავს მრავალი მგზავრი:
ნორჩი თაობა, სტუმრად მოსული;
ჩვენთან სიცოცხლის ჩქეფს შადრევანი,
მზიან ოცნებით გარემოცული.

ჩვენი ოცნება უსაზღვრო არის,
ვერ იტევს მთები, გაშლილი ბარი,
და ნორჩი გული, მუდამ მჩქეფარე,
გვაქვს სიხარულის გრძნობით გამთბარი.

გვახარებს ყველას ჩვენი რკინისგზა,
ეხლა კულტურის ბაღს რომ ამშვენებს:
ჩვენ გავიყვანეთ, პიონერებმა,
საკუთარ ძალით ჩვენ ავაშენეთ!

ჩვენ ვმართავთ ახლაც ენთუზიაზმით,
არ ვიცით მარცხი, ვმუშაობთ ისე,
ლილი სადგურის მორიგე არის,
ფრიალოსანი მერი — მეისრე.

აგერ ოთარიც, მართავს ორთქლქაველს,
ვით მემანქანე დინჯად იქცევა,
აღტაცებაში მოვიდა ყველა,
რომ ინახულეს ჩვენი მიღწევა.

ჩვენ შევიყვარეთ სწავლა და შრომა,
ყველა საქმეში ვართ დამკვრელები,
გვიყვარს ტრანსპორტი, გვიყვარს ქარხნები
და ჩვენი ქვეყნის ოქროს ველები!

მიქრის მანქანა ქშენით, ხმაურით,
ატყორცნილ ალვის ხეებთა შორის,
მრავალთა გულის გამხარებელი,
ნაყოფი ჩვენი საკუთარ შრომის!

ნ. ზვებლიძე.

სვინჯის საილუგლოება

(გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ მასალებიდან)



ექსპედიციის გამგზავრების წინ „ნიუიორკ ტაიმსში“ იყო განცხადება სათაურით: „ექსპედიცია ეგვიპტეში“.

„ჩვენი გაზეთის რეპორტიორთან საუბრისას პოვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რაისნერმა განაცხადა, რომ ის მიემგზავრება ეგვიპტეში დიდი სფინქსის საილუმოებათა გამოსარკვევად, რომელიც ქეოპსის პირამიდის ახლო მდებარეობს და რომელშიაც ჯერ არცერთი მეცნიერი არ შესულა; დიდი მნიშვნელობის მეცნიერული გათხრები უნდა გაწარმოოთ, — თქვა პროფესორმა.

ორი კვირა სამზადისს მოგუნდით. ნერვიულად მოველოდით შორეულ მხარეში გამგზავრებას.

9 ივნისს, როცა მუზეუმში მივედით, ექსპედიციის ერთერთმა ხელმძღვანელმა გვითხრა:

— ხვალ საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე-გავა ჩვენი ექსპედიცია ნიუიორკიდან.

— ღამე სამზადისს მოუნდა, იმ დღეს კი ჩვეულებრივ მოუსვენრობით დავებეტებოდით ქუჩებში.

8 საათზე უკვე ნავსადგურში ვიყავით ხელბარგებით და ჩემოდნებით. იყო მგზავრული ნერვიულობა, ფუსფუსი, ხმაურობა და სიჩქარე. ერთმანეთში ირეოდენ შაკვანიანები და თეთრკანიანები, განუწყვეტლევ მოდიოდა შორეული დოკების გუგუნი და სანაპირო ცა იჭვარტლდებოდა გიშვრა კვამლით; მექანიკური ტვირთშიდავები გათხრისათვის საჭირო იარაღებს ტვირთავდენ გემზე, რომელსაც ცხვირთან უცხო ენაზე ეწერა „მექსიკა“.

ექსპედიციის მონაწილენი, მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, რეპორტიორები და გამცილებლები ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდენ სანაპიროზე.

სრულ 9 საათზე ფორდის მანქანით მოვიდა პროფ. რაისნერი, — მაღალი, გამხდარე, რქისსათვალებიანი, ინგლისური ჩიბუხით პირში, შუახნის კაცი.

როცა ექსპედიციის მონაწილენი მოვეწყვეთ გემზე, გამგზავრებას ხუთმეტოდე წუთი აკლდა. მაშინ პროფესორი გამოვიდა კაიუტიდან, გამოემშვიდობა ცოლს, ქერთამიან ქალიშვილს და გადაკოცნა ისინი.

შემდეგ ბაგირები ახსნეს, გემი აუშვეს და როცა უკანასკნელად აზუზუნდა ის, ჩვენ რალაც შიში თუ ჟრუანტელი ვიგრძენით სხეულში. სულ მალე მიიმალა მაღალი „თავისუფლების“ ძეგლი. ნიუიორკისა და ამერიკის ნაპირები ღამის ბინდბუნდში გაუჩინარდენ.

იმ ღამეს ჩვენ ტკბილად გვეძინა გემის კაიუტაში. მეორე დღეს, როცა ბაქანზე გამოვედით, ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა ზღვისა და ცის დასავალი-სა...

თუთხმეტ დღეს მიდიოდა გემი და ვერ ვხედავდით ვერცერთ მხარეზე ხმელეთს. მეთექვსმეტ დღეს

ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა ოკეანეზე, ტალღები ბაქანს ურტყამდენ, და ჩვენ თავბედს ვიწყევლიდით შიშისა და გულის რევის გამო.

26 ივნისს ოკეანე დამშვიდდა. ბაქანზე რომ გამოვედი, ჯმუხა, შავტუხა მეზღვაურმა გვითხრა:

— ატლანტია გამოვცურეთ, აი, გობრალტარი! ორივე მხრივ მოჩანდა მაღალი, კლდოვანი და მიუვალი ნაპირი, ძველი ციხე-კოშკებით, და ჩვენ გარკვევით ვხედავდით, თუ როგორ ეხეთქებოდა ნაპირებს ფაფარაშლილ ლომებივით ტალღათა ურდოები.

— ჯონ, დიდებულია, არა?! — მისუსტებული ხმით ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა პილიამს ტონმა.

შემდეგ კი, როცა ხმელთაშუა ზღვაში გავედით, ერთხან ვხედავდით მწვანელ შემოსილ ტროპიკულ სანაპიროებს; იმ დღეებში ჩვენ ვისხედით გემის ბაქანზე და ვერთობოდით.

სამ ივლისს, ღამით, გამოჩნდა სანაპირო ქალაქი ალექსანდრია. გვიან შუალამით ჩაუშვეს ღუზა და ბაგირები.

აქედან ჩვენი მარშრუტი რკინისგზით მიემართებოდა ქაირამდის. ორ დღეს ალექსანდრიაში დავრჩით, ექსპედიციის ბარგს ტვირთავდენ გემიდან.

მატარებლის მთელი შემადგენლობა ბარგსა და იარაღებს დასჭირდა. სამ სამგზავრო ვაგონში მოვეწყვეთ ექსპედიციის მონაწილენი. 24 საათს მიქროდა ექსპრესი ხან ნილოსის სანაპირო ოაზისებში და ხან კლდოვან გორაკებს შორის. ფანჯრიდან ჩანდა ტრამალები, უსიცოცხლო და უხვირო ნიდამოები.

როცა ქ. ქაირში მივედით, იქ იყო დასიცხული პალმების მღუმარება. ჰაერი სიცხისაგან იხნიქებოდა, და სამხრეთული სტილით ნაგები შენობები სასიკვდილოდ განწირული ადამიანებივით თავდახრით იდგენ თავარა მზის პაპანაქებაში.

10 ივლისს, მთვარის ამოსვლისას, ნიაგზე ოდნავ აშრილდა პალმები. მაშინ სივრცლით სული მოვითქვით, და ზანტად, მღორე ქანობით დაიძრა აქლემების ქარავანით ექსპედიცია ქეოპსის პირამიდისაკენ.

სამხრეთის ღამე იყო. ქარავანი ნილოსის სანაპიროების გასწვრივ მიემართებოდა, და აქა-იქ გვხვდებოდა ოაზისები, შემდეგ კი სამხრეთის გატრუსულ მონაცრისფრო ტრამალებს ვხედავდით მხოლოდ.

დღისით ოაზისებში ისვენებდა ქარავანი. მაშინ აქლემები იწვნენ და უშნოდ იცოხნებოდენ. საღამოთი ხელახლა ავრილებისას ვკიდებდით ბარგს და სამხრეთის ღამის მყუდროებას აქლემების ზარები არღვევდა მარტო.

რამდენიმე დღის შემდეგ მიგუახლოვდით ქეოპსის პირამიდას, გეომეტრიული სხეულის მაგვარი ვეები

შენობა წამომიბრთა ჩვენ წინ, და ყველამ სათითაოდ ვივრძინეთ რაღაც უჩვეულო ინტერესი საუკუნეების მიღმა დარჩენილი ცხოვრების გამოკვლევისა და შესწავლისა...

დიდხანს ვათვალიერეთ ის, განსაკუთრებით მთავარი პროფესორი იჩენდა ინტერესს.

იმავე ღამეს განვაგრძეთ გზა.

ჯერ კიდევ ვარსკვლავების გაუჩინარებადის მივალწიეთ სფინქსს. თავზე გვეხურა ფირუზის გამკვირვალე ცა... არსაიდან ნიავეც კი არ იძროდა...

იყო სიჩუმე, გარინდება და დასიცხული სივრცე.

ჩვენ თანდათან გუაზლოვდებოდით სილაში ნახევრად ჩაფლულ ლომის უზარმაზარ ფიგურას ქალის თავით; მაშინ პროფესორმა რაისნერმა ჩიბუხი გამოიღო პირიდან და თითქოს თავისთვის თქვა:

— აი, თვით „დიდი სფინქსი“!

რამდენიმე საათის შემდეგ მივალწიეთ. როდესაც მოხერხებული ადგილი აღმოაჩინეს, გავშალეთ კარები, ჩამოსხნეს აქლემებიდან სურსათი, იარაღები, ტანსაცმელი, წყლის მარაგი, და შევუდექით ბანაკის მოწყობას.

ბინდის მოახლოვებისას ოდნავ შეირბა ჰაერი. სამუშაოები დავამთავრეთ, ბანაკი გავამზადეთ, უკვე დრო იყო მოსვენებისა...

მგზავრობაში ერთ თვეს გაველო.

11 აგვისტოს ალიონისას აიშალა ბანაკი.

თეთრებში ჩაცმული პროფ. რაისნერი გვემებს შლიდა, ვაცხარებით ელაპარაკებოდა თანაშემწეებსა და ინჟინრებს. ჩაისა და საუზმის შემდეგ იყო განკარგულება:

— ყველანი, თავთავისი იარაღებით, სფინქსის მარჯვენა მხარისაკენ!

ექსპედიციის მონაწილენი იარაღებით, საბურღებით, უროებით გავემართეთ სფინქსისკენ.

სრულ 12 საათზე სფინქსის გვერდზე ლალუმები აფეთქდა მძლავრი გრუხუნით და სივრცემ სამჯერ გაშოსცა ეხო...

შემდეგ წუთით ყველაფერი ისევ ყრუ დუმობა მოიცო. სფინქსის გვერდზე კი მხოლოდ ორიოდ ალაგას გაჩნდა კაცის თავის სიმსხო ლალუმის ანაფეთქები.

ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა სპეციალური საბურღი და სფინქსის გვერდში რვა მეტრზე შეიჭრა.

პროფესორი რაისნერი ხალისობდა. მუშაობას წარმატება ეტყობოდა. 19 აგვისტოს, დილიდანვე, ბურღი რაღაცამ შეაჩერა. ინჟინერები დაფიქრდნ.

ნაშუადღევს, როდესაც კვლავ ახრიალდა ბურღი, უეცრად გაისმა ფოლადის ტყაცანი. გამოირკვა რომ ბურღი გატეხილიყო.

ორ დღეს თავისუფალი ვიყავით.

პროფ. რაისნერი ჯავრობდა, კირვეულობდა, თან ახალ გეგმებს ხაზავდა თავის თანაშემწეებთან და ინჟინრებთან.

25 აგვისტოს პროფესორმა მონაწილეებს ვგუჟყა სფინქსში შესვლის ახალი ხერხი. მისი პროექტით, შესავალი სფინქსის თავზე იყო...

იმ დღეს ინჟინრებმა აღმართეს კიბეები, და მართლაც სფინქსის თავზე აღმოჩნდა ჩაღრმავება.

დაიწყო თხრა. ექსპედიციის მონაწილენი რიგრიგობით მუშაობდნ. ერთ კვირაში სფინქსის გასწვრივ სიღრმეზე გაიჭრა ხერხი...

რაისნერი ნერვიულობდა. სალამობით, მუშაობის დამთავრების შემდეგაც, ბინდბუნდში დიდხანს იდგა სფინქსთან და ფიქრობდა.

10 სექტემბერს ხერხი შეუერთდა სფინქსში მოთავსებულ დიდ ტაძარს.

პროფესორი სიხარულით ცას დაეწია, პირველად შევიდა ის ტაძარში, რომელიც მოთავსებულია სფინქსის წინა და უკანა ოათებს შორის...

მეორე დღეს ჯერი ჩვენზე მოდგა. უკუნეთ სიბნელეს სპეციალური პროექტორებით ანათებდნ, ტაძრის სიგრძე 10 ფუტი იყო, სიგანე — 14.

15 სექტემბერს პროფესორმა გასასვლელები აღმოაჩინა ტაძრიდან აკლდამებისაკენ. აკლდამები პირამიდების სახით არიან.

17 სექტემბერს იქიდან წარწერები, მსხვერპლად შეწირული ადამიანების ჯერ კიდევ დაუშლელი ჩონჩხები, ჭურჭლები და ძვირფასი ქვები გამოიტანეს.

იმ ღამეს პროფესორი მთვარით გაშუქებული კარვის წინ ექსპედიციის მონაწილეებს ვეხსნიდა:

— წარწერების ნიშნებით, სფინქსში დამარხული ყოფილა ფარაონი მენესი, რომელიც 8.000 წლის წინათ ცხოვრობდა. ამ ადგილას ყოფილა დიდი სატახტო ქალაქი მემფისი. ეს ნივთები ეგვიპტის ამ ფარაონის საკუთრებაა. ეს მუმი, დღეს რომ გამოვიტანეთ, ვფიქრობ, თვით მეფე მენესია, ამ დღეებში ჩვენ კიდევ ბევრს გავიგებთ! ეს სფინქსიც მისი საფლავია...

დაამთავრა მან.

მთვარე ჩავიდა, და ჩრდილები ჩამოწვენ...

სფინქსი შიშისმომგვრელ საიდუმლოდ იყო დაღუშებული. იმ დღეებში ჩვენ ორჯერ ჩაყვით პროფესორს სფინქსში. სვეტები, ჩუქურთმები, ქანდაკებები ცვლიდნ ერთმანეთს, ირგვლივ იყო ხავსი და სინესტე.

30 სექტემბერს ახალი ტაძარი და აკლდამა აღმოჩნდა სფინქსში.

ნივთები უკლებლივ გამოიტანეს. მუმიებით, ძვირფასი თვლებით, ძველი ჭურჭლებით და წარწერებით აივსო საბარგულები.

პროფესორი განსაკუთრებით პაპირუსის წარწერებიან ფირფიტებს უფრთხილდებოდა.

— ხვალ უკან ვბრუნდებით! ჩვენ სფინქსში შესვლით შევძელით მისი საიდუმლოების ახსნა. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას... — ოქტომბრის ხუთს სალამოთი გვითხრა რაისნერმა და „ძილი ნებისა“ გვისურვა.

თბილ, სულისშემსუთველ ნიავს სადღაც ტრამ-
ლებზე მოხეტიალე ლომების ომანხინი ღრიალი მოჰ-
ქონდა.

მეორე დღეს დაეტოვებ სფინქსი, და აქლემების
ქარავანი მძიმედ და მღორედ დაიძრა ქაირისაკენ.

ოცდახუთი დღის შემდეგ გავცდით ეგვიპტის
ტერიტორიას, პირველ ნოემბერს მივახწიეთ ქალაქ
ალექსანდრიას.

მეორე დღეს ექსპედიციის მონაწილენი გემ „ვა-
შინგტონით“ გავცდით რეიდს და ამერიკას მივაშუ-
რეთ.

ჩვენ ვტოვებდით აფრიკის მატერიკს, კრედი
ზებრებისა და ჟირაფების, ვეებერთელათაგან და
პატარაყურებიანი ბეგემოტების, უშნოდრუნიანი
მარტორქების, ვეფხვების, ლომებისა და სპილოების
სამშობლოს...

გემი „ვაშინგტონი“ სწრაფად მიარღვევდა ხმელ-
თაშუა ზღვის ცისფერ ტალღებს.

დავ. შამათავა

პატარა ჯალოსანი

პარიზი. 1763 წ. მდიდრულ დარბაზები მეფის
სასახლისა... სასახლის ბრწყინვალე საზოგადოება
შეკრებილა მეფის კარის წინ. გაბლენძილი ზარმაცი
ლუდოვიკ XV, მეფე საფრანგეთისა, ღრმად ზის
რბილ სავარძელში და უგუნებოდ უსმენს მის წინ
თავანთანად დახრილ სწავლულ მელნიორ გრიმს.

— თქვენო დიდებულებავ! ნამდვილი საკვირვე-



ლება ისე იშვიათია, რომ მათ შესახებ სიამოვნებით
ლაპარაკობ, როცა გაქვს ბედნიერება მისი საკუთარ-
ი თვლით ნახვისა.

ზაგლბურგის¹⁾ კაპელმეისტერი, რომლის გვარი
მოცარტია, ჩამოვიდა აქ ორი მშვენიერი ბავშვით.
მისი ქალი, 12 წლის გოგონა, მომაჯადოებლად
უკრავს კლავესინზე²⁾ ყველაზე ძნელ რამეებს. მისი
სამი წლის ვაჟი კი ნამდვილი ზასწაულია. უყურებ,
უსმენ მას და არ უჯერებ საკუთარ თვალებსა და
ყურებს! ის არა მარტო მშვენიერად უკრავს ყველა
ძნელ რამეებს თავისი პაწაწინა ხელებით, რომელიც
ექვს კლავის ძლივს სწვდება, — ის უკრავს მოუშ-
ხადებლად, მხოლოდ თავისი გენიის ჩაგონებით!

¹⁾ ზაგლბურგი: გერმანიის ერთ-ერთი ქალაქია, სადაც
დაიბადა და აღიზარდა მოცარტი.

²⁾ კლავესინი — ძველქართული სიმებიანი საკრავი; მისგან
განვითარდა ფორტეფიანო. დღეს იგი აღარ იხმარება.

ყველა ამას ის აკეთებს გასათვარი გემოვნებით,
ის...

— კარგი, კარგი, ჩემო კარგო გრიმო, — სიტყ-
ვების გაგრძელებით ზარმაცად წარმოთქვა მეფემ. —
უმჯობესია გვაჩვენოთ თქვენი პატარა სასწაული.
თუ ის მართლაც გენიოსია, უეჭველია მოეწონება
მარკიზ დე — პომპადურს. ისიც უკრავს კლავესინზე
და კარგად ესმის მუსიკა...

იმავე საღამოს მოეწყო პატარა ვოფერლისა და
ნანერლის პირველი კონცერტი სასახლის ბრწყინვალე
საზოგადოების წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ მეფე-
დედოფალიც და ყველაზე ძლიერი პიროვნება მე-
ფის სასახლეში — მარკიზ დე — პომპადური. პულრით
შეფიფქილი პარიკები, ოქროს სირმებით ნაკერი
ტანსაცმელი მჭიდრო წრედ შემოჰკვრია იმ ინსტრუ-
მენტს³⁾, რომლის წინაც ზის ბიჭუნა; მისი ფეხები
ვერ სწვდება იატაკს, მაგრამ პატარა ხელები სწრა-
ფად დანავარდობენ კლავიშებზე, და ისეთი მომხიბ-
ლავი ხმები გაისმის, რომ სასახლის წევრებიც
კი აღტაცებულნი არიან, რომლებსაც ნაკლებად
ესმისთ მუსიკა.

ის უკრავდა ნოტების⁴⁾ ფურცლიდან ყველა-
ფერს, რასაც კი მის წინ გაშლიდნენ, რასაც ის
პირველად ხედავდა, რთულ კომპოზიციასაც კი.
საოცარი სისწრაფით გადაქონდა ხმებზე, მოუშხა-
დებლად უკრავდა, აოცებდა ყველას მდიდარი მე-
ლოდიითა და ჰარმონიით. სასახლის ერთ-ერთი
მანდილოსანი მივიდა ბავშვთან და უთხრა: მე
რომ ვიმღერო რომელიმე არია⁵⁾, შეგიძლია
აკომპანიმენტი⁶⁾?

— როგორ არა, მხოლოდ ვმომეცით პირველი ნოტი.
ქალმა დაიწყო, და ბავშვმაც მაშინვე საკვირვე-
ლი სისწორით გადაიღო სიმღერა და თავისი

¹⁾ სამუსიკო დასაკრავი იარაღი.

²⁾ ნოტი — მუსიკალური ტონების და მათი ურთიერთ-
დამოკიდებულების წერილობითი ნიშანი.

³⁾ არია, ანუ პარტია ამა თუ იმ ოპერიდან, ოპერის
ნაწილი, ერთი ხმისთვის სასიმღერო.

⁴⁾ აკომპანიმენტი — რაიმე საკრავის ხმის შეწყობა სიმღე-
რასთან.

დაკვრით მისცა მეტი გამოსახულება და მუსიკა-
ლობა.

შემდეგ ბავშვმა შეუჩერებლად გაიმეორა იგივე
არია და თითოეულ განმეორებაზე ამრავალფეროვ-
ნებდა აკომპანიმენტს.

— ასეთი საუცხოო რამ ჭკუაზე შეარყევს ადა-
მიანს! — წამოიძახა იქვე მჯდომმა მეღბიორ გრიშმა.
კონცერტს კონცერტი ცვლიდა. ახალგაზრდა მუსი-
კოსებს უხვად ასაჩუქრებდნენ.

მოცარტის მამა სიამოვნებით აგროვებდა თავის
სალაროში შვილის ნიჭით მონაგარ ლუიდორებს.
ბედნიერმა და კმაყოფილმა მოცარტის ოჯახმა და-
ტოვა პარიზი, და გაემგზავრნენ ლონდონისაკენ, სა-
დაც უკვე მიეღწია ხმას პატარა ჯადოსანზე.

მოცარტის მამის ჩემოდანში ეწყო ოთხი კომ-
პოზიცია¹ მისი ვაჟისა, რომელიც ბრიზში დაიბეჭდა,
ეს იყო ნაყოფი ბავშვის ნამდვილი მუშაობისა, რო-
მელიც თავბრუსხვევი სისწრაფით იწვედა წინ,
მამის ხელმძღვანელობით.

— დაიხსომე, საყვარელო ვოფერლი, — უთხრა
მას მამამ, როცა ეტლი უახლოვდებოდა ლონდონს, —
დაიხსომე, რომ ლონდონი პარიზი არ არის. საფრან-
გეთის სატახტო ქალაქში უყვართ ყველაფერი
ახალი. ყველაფერი, რაც მოდაშია, ყველაფერი, რაც
გასაოცარია პირველ შეხედვისთანავე. მაგრამ ფრან-
გები მალე ივიწყებენ და ნაკლებად აფასებენ
ნამდვილ ხელოვნებას; სულ სხვა არის ლონდონში.
იქ კიდევ ცოცხლობს სული დიდი მუსიკოსის ჰენდელ-
ისა, იქ ეხლაც მუშაობს შვილი დიდებული ბახისა,
რომელიც ინგლისელებს უყვართ და რომელსაც
აფასებენ იქ. მეფე გიორგისაც ესმის მუსიკა. ამიტომ
იქ ისე ადვილი არ იქნება შენთვის.

მამის გაფრთხილებამ მხოლოდ გაამძნევა პატარა
მოცარტი პირველსავე კონცერტზე, რომელიც გაი-
მართა სენჟემის სასახლეში. თავისი შესანიშნავი
იმპროვიზაციის² შემდეგ ვოლფანგმა შეამჩნია კლავ-
ვისინზე უწესრიგოდ დაყრილი ნოტები. მან განურ-
ჩევლად აიღო ერთი მათგანი, ეს იყო აკომპანიმენტი
ჰენდელის ერთერთი არიისა.

პატარა მოცარტი დაუყოვნებლოდ მიუჯდა ინ-
სტრუმენტს და გადაიღო მთელი პიესა, რომელსაც და-
ურთო მშვენიერი მელოდია, მხოლოდ ისე, რომ ჰენ-
დელის აკომპანიმენტში არ იყო შეცვლილი არცერ-
თი ტონი.

— ეს პატარა ჯადოსანია! — წამოიძახა ბახმა,
რომელიც დაესწრო კონცერტს.

— თვით ჰენდელს ეჯიბრება იგი!

ბახმა მიიბრინა ვოლფანგთან, დაისვა მუხლებზე
და დაუკრა პირველი ტაქტი სონატისა, რომელიც
იღვა პიუპიტრზე¹). მოცარტმა დაუკრა შემდეგი და
ასე დაუკრეს მათ მთელი სონატა ბოლომდის, ამავე
დროს არ შეიძლებოდა იმის თქმა, თუ რომელი უკე-
თესად უკრავდა — ბახი თუ მოცარტი.

— ბატონო! — წამოიყვირა ერთმა დამსწრე
სტუმართაგანმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ ორი-
ვე უკრავდა, — არც თქვენ უკრავთ მაგ ბავშვზე ნა-
კლებად!

— საქმეც ეგაა, ბატონო, რომ თქვენ სრული
სიმართლე თქვით, — უბასუხა ბახმა, — ჩვენ ეს
სონატა²) ორივემ ერთად დავუკართ.

— ეს იქნებოდა მართლაც ნამდვილი სასწაული,
რომ ბავშვი შვიდი წლის იყოს, — წარმოთქვა ერთმა
ურწმუნო ჯენტლმენმა, — მაგრამ მე ვფიქრობ, რომ
ბავშვის მამა უკლებს. პატარა ტანი ყოველთვის
არ არის ნამდვილი მაჩვენებელი პატარა ასაკისა. აი,
მაგალითად, მე დავისახელებთ...

სტუმარმა ვერ მოასწრო თავისი ღრმა მოსაზრების
ბოლომდის გამოთქმა, რომ დარბაზში გაისმა საცო-
დავი კნავილი; ყველამ მიიხედა იქითკენ, საიდანაც
მოისმა ხმა. რა დიდი იყო გაოცება ბრწყინვალე
სტუმრებისა, როცა მათ დაინახეს ინსტრუმენტის
ქვეშ მოცარტის გვერდით პატარა კნუტი, რომლისა-
თვისაც ბავშვს მაგრამ ჩაეგლო ხელი კუდში, რომ
არ გაქცეოდა

მოცარტმა ისარგებლა კაპელმეისტერსა³) და
ლორდს შორს დაწყებული დავით, ჩამოხტა ძირს და
მოინდომა ინსტრუმენტქვეშ მყოფი კატის დაჭერა
და მასთან თამაში. როგორც ეტყობოდა, კატამ არ
გაიზიარა მოცარტის სურვილი და სცადა გაქცევა.
მოცარტი გამოუდგა და ინსტრუმენტქვეშ კუდით
დაიჭირა კნუტი. კნუტმა ატეხა კნავილი და ამით
მიიქცია დიდებულითა ყურადღება.

— ახლა მე ეჭვი აღარ მეპარება, რომ თქვენი
პატარა ჯადოსანი მართლაც შვიდი წლისაა, — სი-
ცილით თქვა პატივცემულმა ლორდმა და ხელი
მოუცაცუნა მოცარტს ლოყაზე.

— მაგრამ პატარა შვიდი წლის ჯადოსანმა
იცის ის, რაც ორმოცწლიანებმაც არ იციან, — წარ-
მოთქვა ბახმა და ზურგი შეაქცია თავის მოსაუბრეს.

კლ. ღვამარიანი.

¹) კომპოზიცია — მუსიკალური შემოქმედების თეორია და პრაქტიკა.

²) იმპროვიზაცია — მუსიკალური ნაწარმოების მოუშუა-
დებლად შექმნა.

¹) პიუპირი — დაფრთხილი ჩარჩოანი მაგიდა — ნოტე-
ბის დასაწყობად.

²) სონატა მუსიკალური ნაწარმოები, 3 ან 4 ნაწილისა-
გან შემდგარი.

³) კაპელმეისტერი — ორკესტრის ხელმძღვანელი.



ჩუხჩუხებს კლდეთა ნაწური,
 მოსკდა მთებიდან ზოვია.
 შევიცან ხმა ვაჟკაცური,
 მთაში რომ დაგიტოვია.

დგანან ფშავეთის ქედები,
 გააქვთ ლალუმებს ზრიალი.
 ყოვთან მწვანე ფერდები,
 როგორც ვარდნი და იანი,
 არწივებს შვევაჩერდები,
 ცაში რომ გააქვთ შრიალი.

მორკალეს ზეცის ნაწილი,
 ფშავეთის მკერდის ტოლია...
 ვაჟაუ, შენი არწივიც
 მზეს ცაში აუსროლია..

იდექ და ფიქრი გეხვია,
 როგორც თავშალი ქვრივისა...
 გულმკერდი ჩაუტეხია
 ხევისურს მოსისხლე გმირისა,
 არაგვს მიქონდა ვაჟკაცი,
 მსხვერპლი ფრანკულის პირისა.

მწყემსი სალამურს აკენესებს,
 კლდენი ეხოვებს გზავნიან...
 ამ ნორჩი გულის ნაკენესებს
 გიმღერი ქარიშხალიანს...

ნეტა ხედავდე მინდიას,
 ვაჟავ, ტკბებოდე არაგვთან...
 უმღერდგ მწვანემინდერიანს
 მთის ფერდს და ველებს ბარათა!

ვლ. სულაბერიძე.

ვაჟა-ფშაველა

ამ ოცი წლის წინათ, 1915 წლის 27 ივლისს, გარდაიცვალა ქართველი პატარა მკითხველებისათვის კარგა ცნობილი და საყვარელი პოეტი ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაჭიკაშვილი).

ვაჟა დაიბადა 1861 წელს. ღარიბი დედ-მამის შვილი იყო, ბავშვობა მწყემსობაში გაატარა.

ვაჟა სამწერლო ასპარეზზე 1889-იან წლებში გამოვიდა. ეს ის დრო იყო, როცა სადიდო ლიტერატურამ რეალისტური მიმართულება მიიღო.

ამ ხანაში ჩვენი საბავშვო ლიტერატურა სულდგმულობდა, მარტო ერთი საბავშვო ჟურნალით, რომელსაც ერქვა: „ნობათი“ (გამოდიოდა 1883-1885 წლებში).

ვაჟა ამ ჟურნალში გამოჩნდა პირველად 1885 წელს და დაბეჭდა თავისი შესანიშნავი მოთხრობა: „შვლის ნუკრის ნამზობი“.

ამ დღიდან ვაჟა-ფშაველა შემთხვევითი სტუმარი კი არ იყო საბავშვო ლიტერატურისა, არამედ მუდმივი და ერთგული თანამშრომელი შემდგომი საბავშვო ჟურნალებისა: „ჯეჯილისა“ (დაარსდა 1890 წ.) და „ნაკადულისა“ (დაარსდა 1904 წ.). მისი თანამშრომლობა ამ ჟურნალებში უფრო გაძლიერდა 1900 წლიდან და სხვებთან ერთად (ეკ. გაბაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნ. ლომოური, ცქვიტი, ირ. ევლოშვილი და სხვ.) საბავშვო ლიტერატურას მისცა მხატვრულ-რეალისტური მიმართულება და ამით საბავშვო ლიტერატურაც დაადგა განახლებულ გზას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია: ის წერდა პოემებს, ლექსებს, ზღაპრებს, მოგონებებს, ეთნოგრაფიულ ნარკვევებს. მან თავი მოუყარა ფშავურ ზღაპრებს და ამგვარად ყველასათვის მისაწვდომი გახდა ფშავ ხევისურების ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრება და საგმირო თავგადასავალი.

თუ სადიდო ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველას მთავარი მოტივი სოციალურ ეთნოგრაფიულია, და პიროვნების განთავისუფლების მაძებარი, საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებში პირველ ყოვლისა ბუნების მოტრფიალეთა ბუნება ცოცხალ არსებად მაჩნია.

ვაჟამ მთელი ბავშვობა და თავისი სიცოცხლის დღეების მეტი ნაწილი მთაში გაატარა და უთუოდ პატარაობიდანვე შეუყვარდა ჩიტები, ხეები, პეპლები, ცხოველები, ამწვანებული თუ დათოვლილი მინდორ-ველი, დიდებული მთები; მაშინ დაუკვირდა, შეიცნო და გაიგო მათი ზრდის, სიკვდილის, გახმობის, ჭკნობის საცდუმლოება და ამიტომ იცოდა ბუნების ყოველი სულდგმულის ენა.

ვაჟა-ფშაველა მთის შვილია, მთის სინოცივრით გაქლენთილი და სწორედ ამიტომაც ისეთი მხატვრული ენით აგვიწერს მათ, რომ კითხვის დროს ნამდვილი მთები გვეჩატება თვალწინ მთელი მათი ბუნებით, ტყეებით, ხეებით, მდინარეებით, არწივებით, ირმებით, ნისლებით, ღრუბლებით და ჭექა-ქუხილით.

მაგებს ისე ესიყვარულება, როგორც ძვირფას არსებას:

მოგესალმებით, ქედებო,
 მომაქვს სალამი გვიანი,
 ჩემსამც სამარეს ამკობენ
 თქვენი დეკა და ლვიანი.

ვაჟამ თითქოს სული ჩაუდგა მთებს, რომ უფრო მოგვაწონოს მათი სილამაზე.

არ გინახავთ, გათენების ხანს რომ ნისლია გადაწოლილი მთის კალთებზე?

„ნისლი ფიქრია მთებისა“ წერს ვაჟა, თითქოს ამით იმის თქმა უნდოდეს—მთებს ფიქრიც კი შეუძლიათო.

თუ, ვაჟას თქმით, მთებს ფიქრი შეუძლიათ, ბუნების თვითივე სულდგმულს აქვს ადამიანის ყოველგვარი განცდები და გრძნობები: მხიარულება, სევდა, შიში, სიყვარული, დედა-შვილური გრძნობა.

„ნეტავი ვის შეეტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედაჩემის თვალეში ერთხელ კიდევ ჩანახედოს და დამატკბოს იმისი ალერსით?!“ ასე ჩივის პაწია, ობოლი, ბავშვივით ატირებული შგლის ნუკრი.

იგი, ისე როგორც ადამიანი, მოგონებით ცოცხლობს და იმ ბედნიერ წუთებს იგონებს, როცა ჰყავდა დედა, რომელიც ყოველ ღონესა ხმარობდა დაეტებო თავისი შვილი, მზრუნველობა გამოეჩინა, გადაეჩინა „ბოროტი მონადირის თოფისაგან“.

ვაჟაც მათ ყოფას სევდით იზიარებს, რადგან ცხოველები ერთთავად შიშში არიან, ერთთავად ემალებიან ადამიანებს, „ამ მტაცებელ ფრინველებს“.

და მკითხველიც ამ პაწია, უენო მოქვითინე არსების სიბრალულით იმსჯელებს.

მარტო შგლის ნუკრი არა ჩივის ადამიანის სიბოროტეზე. იაც, ეს ყველაზე პაწია, ნაზი ყვავილი, რომელსაც, მართალია, ადამიანი ვერ შეჭამს და სულ რამდენიმე საათს შეჰყურებს სიცოცხლეს, ისიც კი ამ აზრისაა.

ვაჟას ია უფრო გულადია, ვიდრე თედო რაზიკაშვილისა (ესეც მწერალია, ძმაა ვაჟა-ფშაველასი). თედო რაზიკაშვილის ია ნაზია, მშინაარა, მას რაღაც ფიქრი იპყრობს, თავის სისუსტესა გრძნობს, მოკლევადიან სიცოცხლეს ხედავს. ვაჟას ია კი უფრო ქედმაღალია. იგი თანაგრძნობით უყურებს იმ საცოდავთ, რომლების უბედურებასაც მოესწრო:

„რა შეუბრალებელია კაცი! რასაც კი დაინახავს, უნდა თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ჩვენ წინ კაცმა გამოიარა ცულით მხარზე, მიადგა ერთ მშვენიერ ტოტკადართხმულ წიფელას, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუფულის კაბა (მცენარეა. ა. ლ.) ამოსულიყო, ხე იმას დაეცა და გადააყრევინა ფოთლები“.

„დაღალული ქედანი დაჯდა ჩვენს წინ თელას ტოტზე და დაიწყო ღულუნნი. უცბად თოფი გავარდა. ქედანმა ხმა გაკმია“.

მაგრამ ამ სხვის შემბრალებელი იას ვერ გაუთვალისწინებია თავისი სულ მცირე ხნის სიცოცხლე. მხოლოდ საიდლანაც „ბუნდი ყრიაშული“ მიდის იმისაკენ, რომელიც ატყობინებს: ია საბრალო არის, სიცივე დააზრობს. საწყლისათვის მოკლე სიცოცხლის ჟამი მიუცია ღმერთსო.

ამ მწარე და სევდიან დღეებთან ერთად ტყესა და მის მოპინადრეებს ზოგჯერ უდგებათ დღე თავ დავიწყებული ყრიაშულისა, მხიარულებისა, და ეს მოგვაგონებს ნამდვილ ქორწილს.

ჩიტებიც ადამიანებს არ ჩამოუვარდებიან ღზინში: ისეთივე მასპინძლობა, ისეთივე სიმღერა, ისე-

თივე მხიარულება, პაექრობა და ღზინი, როგორც ადამიანებმა იციან. ამიტომ ვაჟა ყოველთვის ხმარობს ანთროპომორფიზმს (ე. ი. სხვადასხვა საგნებისა და არსებათა წარმოდგენა ადამიანის თვისებებით), და აქ ჩიტები ისევე საუბრობენ, როგორც ადამიანები.

— ნუ ტანჯავთ, ნუ ჩაგრავთ, ნუ უსპობთ სიცოცხლეს! — სთხოვს ვაჟა თავის მკითხველებს.

და მართლაც, ვაჟამ იპოვა ერთადერთი მფარველი და თანამგრძნობელი ყველა ფრინველისა. ცხოველისა, მცენარისა და მწერისა, — ეს არის ბავშვი.

მართალია, არიან ცელქი ვასოებიც, რომელნიც შაშვის და სხვა ფრინველების ბუდეს ანგრევენ და ბარტყები შინ მიჰყავთ, მაგრამ უმეტესობა ბავშვებისა შემბრალებელია და ქომაგი. ეს იცის და სჯერა ვაჟას.

ასეთია ვაჟას პატარა ლექსიც. ის, ქათმები რა არის, ქათმებსაც კი უფრთხილდება, არ აკვლევინებს დედას სტუმრისათვის და რომ ქათმებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს, საქათმიდან საბძელში გადაასახლებს. ლექსო იქ წვრთნის მათ: მამლაყინწამ არ უნდა დაიყვილოს, არ უნდა გაუძღვეს წინ. ქათმებს გასასვლელად და არცერთმა ვარიამ გარეთ გასვლა არ უნდა გაბედოს.

„ე, მაგრე იყავით, არ ჩამოხვიდეთ, თქვე ყუყუჩებო, არ იციო, რომ მე თქვენთვის კარგი მინდა? იციო, რა უბედურებას გადაგარჩინეთ“.

ლექსოს ძალიან უხარია. თავისი თავი გმირი ჰგონია, რომელიც მოვლენილა ამ ქვეყნად კეთილისათვის, მოძმეთა საშველად და დაჩაგრულთა დამცველად. მას გაუჩნდა საზრუნავი სამწყემსო, რომლითაც ის ამაყობს.

გარდა ბავშვებისა, არიან დიდებიც, რომელნიც ზოგჯერ უკვირდებიან ცხოველ-ფრინველთა ცხოვრებას, ითვალისწინებენ მათ შინაგან თვისებებს და ნათლად ხედავენ მათ ბიოლოგიურ მოვლენებს.

ასეთია ვაჟას ახალგაზრდა ვანო, ვაჟას აღზრდილი, რომელიც მასვე ემსგავსება. ეს ყმაწვილი გასაოცარ მიდგომას იჩენს თვითივე ფრინველის დახასიათებაში.

მისი აზრით, ბულბული ფრინველებისათვის ის არის, რაც ჩვენთვის საუკეთესო პოეტები, მწერლები, მსახიობები, მომღერლები. ფრინველები მას ისევე სცემენ პატივს, ისევე უმართავენ იუბილეს, როგორც ადამიანები დამსახურებულ მოღვაწეს.

ვანომ ცოცხლად წარმოგვიდგინა ბულბულის იუბილე, მასთან მოსული დეპუტაცია და თვითიველის ნათქვამი სიტყვა.

ყველა ფრინველი თავისი საკუთარი ღირსების მიხედვით უდგება ბულბულს, თავის სიკარგვეზე უფრო ლაპარაკობს, ვიდრე ბულბულის მნიშვნელობაზე.

არწივი, როგორც ბრგე, დიდი და ღონიერი ფრინველი, ბულბულს უღონობას და სინაზეს უწუ-

ნებს; სვაგი იმასა ცდილობს, რომ თავისი სიტყვით არწივი არ გააბრაზოს, არაფერი წამოსცდეს მისი საწყენი, რადგან იმაზეა დამოკიდებული სვაგის კვება, საჭმელის შოვნა, ამიტომ არწივის წინაშე თავს იწონებს, თავს იქებს და ჭკვიანად მოაქვს თავი.

მართლის მიტქმელი თითქმის არავინ გამოჩნდა. ქედანის გარდა, რომელიც აღნიშნავს თავიანთი მოდგმის, — ფრინველთა — სისხლისმსმელობას და დასძენს: — შენი გალობა ხშირად ავკაცობაზე ხელს გვალებინებს და ეს რომ არ იყოს, ერთმანეთს გადავჭამდითო.

ვაჟა გასაოცრად ჰვრეტს ფრინველთა ბუნებას, ბიოლოგიას, მათ ხასიათს: თვალთმაქცობას, ორპირობას, მლიქვნელობას, ამპარტავნობას, სუსტის დაჩაგვრას, აღარებს აღამიანისას და ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობს, რომ მკითხველსაც აჯერებს არწივს, სვაგს და სხვა ფრინველებს სხვანაირი სიტყვის თქმა არ შეეძლოთო, და აქ იბადება ნდობა მწერლისადმი. თქვენ ენდობით, გჯერათ მწერლისა.

მაგრამ გარდა ბუნებისა ვაჟას აღამიანებიც უყვარს, განსაკუთრებით მთის ხალხი, რომელთაც კარგად იცნობდა.

„შეხედეთ, როგორ არწივის ბუდესავით მიმალულა მთის გულზე ფშაველების პაწია სოფელი! იცით, რამდენი გასაჭირი ადგია კარზე ამ ხალხს, ამ მთის შვილებს: უგზობა, მკაცრი ზამთარი, სასტიკი ქარბუქი, შიმშილ-წყურვილი. იტანჯება მთის ხალხი, მაგრამ მაინც გულს არ იტებს, მეზობელი მეზობელს ეხმარება, სტუმარი ღვთის მოციქულად მიაჩნია, და მტერიც რომ მივიდეს მასთან სტუმრად, სიყვარულით გაუმასპინძლდება, თავის ღარიბ ქონში ღამეს გაათევინებს და არავის ნებას არ მისცემს, რომ ძვირფას სტუმარს თითი შეახოს“.

და როცა კითხულობთ მის პოემებს, კარგად გესმით როგორ ძლებდა, როგორ ცხოვრობდა მთის ხალხი იმ მიუვალ მთებში; კარგად გესმით, რომ მათი გამტანი ძმობა და ერთმანეთის დახმარება იყო.

ამის საუკეთესო სურათს იძლევა მისი შესანიშნავი მოთხრობა: „გასამართლებული ჩიბუხი“.

გულუბრყვილო, უღარდელი ღვთისუნელა ეტროფოდა და პირადან არ იშორებდა თავის სახელოვან ჩიბუხს. მძინარეს გამოლოცებდა უხაროდა, ადგომა ეხალისებოდა, ჩიბუხს მოვწევო. ისე სავანგებო ტკბილეულობა, სურნელოვანი თაფლიანი ყვავილი სასუტკა როგორ დაატკობდა პატარა მწყემს, როგორც ღვთისუნელას ჩიბუხი ანეტარებდა.

თვითელ მის სიტყვაში თქვენ გრძნობთ ჩიბუხის უზომო სიყვარულს. ბავშვები ინიტომ უყვარდა, რომ ჩიბუხისათვის ცეცხლს მოუტანდნენ, მეუღლე იმიტომ უხაროდა, რომ, თუ ვინცობაა მოხდებოდა და ჩიბუხი დაეკარგებოდა, ის უზოვიდა. მეზობელთან შეხვედრა იმიტომ უხაროდა, რომ ღობის ძირზე მისვამდა მას და ჩიბუხის კვამლში შეატურებდა

მასთან საუბარს, მინდორში წასვლა იმიტომ ესალისებოდა, რომ იქ თავისუფლად ტკებოდა ჩიბუხის წევით.

ერთი სიტყვით, მთავარი ნაცოცხლებელი ძალა ღვთისუნელასი ჩიბუხი იყო. თუ გაბრაზდებოდა, — იმის გულისათვის, თუ მხიარულობდა, — ისე იმის გულისათვის.

მაგრამ ამ ჩიბუხმა მას ერთხელ ოინი უყო, მეზობელმა დააბატიჟა, არ მოეშვა, და ღვთისუნელაც გაჰყვა; დაათვრეს და აღარ გამოუშვეს. არ უნდოდა დარჩენა ღვთისუნელას, მაგრამ ბოლოს საბძელში დაწოლა მოისურვა. აქ მას მარცხი მოუხდა; ჩიბუხის მოწვევის შემდეგ ცეცხლი დარჩენოდა, მთვრალს გადმოებერტყა, თვითონ მისძინებოდა, და მთელი საბძელი საწყალი ოჯახისა და საქონლის საჭმელი გადაიწვა. ღვთისუნელა გადარჩა, რადგან გარეთ გამოვიდა და თოვლში იგორავა.

თანამად ფშაველების თემური წყობილებისა, უნდა ღვთისუნელა სახალხოდ გაესამართლებიათ, რადგან მეზობელი დააზარალა. დარცხვენილია ღვთისუნელა. პირშებრუნებული ზის ხალხთან. დაიწყო გასამართლება. ხალხმა ღვთისუნელა ვერ გაამტყუნა: მტრობით არ უქნია. ისე მოუხდაო.

მეზობელს ამით რა მალამო დაედო? ერთმა მოხუცმა, რომელიც სიმართლის მიტქმელად ითვლებოდა, მოახედა ღვთისუნელა, რომელსაც ჩიბუხი გაებოლებია, როგორც გამართლებულს, და მას ჩიბუხი გაუსამართლა:

„ჩვენ ვთქვით, ვისი რა ბრალია? ძან კარგა მაქვს გაგებული, ე. მაგის ბრალია, პირში რომ გჩრავს და როგორც ძალი ვერ ეშვები ძვალს, რაც უნდა გამოხრული იყოს, ისე შენ ვერ მაჰშვებინარ, შე გადაყრუებულო!“ — უთხრა მოხუცმა და თან ჯობი დაუკრა ჩიბუხს, ისე მარჯვედ, რომ ჩიბუხი გადავარდა შუა გადატეხილი. ეს იყო სტიმული ხალხისათვის. ჩიბუხიო? ხალხი ეცა საბრალო ჩიბუხს და დაუწყო წგწა: ზოგი მუშტსა სცემდა, ზოგი ფეხქვეშ ივლებდა, დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს. გაისმა სიცილ-ხარხარი. ერთსულოვნება ამით არ მოთავდა. ჩიბუხი გასამართლეს, მეზობელს მალამო დაადეს: „უნდა ვუშველოთ დაზარალებულ მეზობელს, რადგან ღვთისუნელას თვითონ არაფერი აქვსო“.

ხოლოდ ამის თქმა იყო საჭირო. ჯერ ხოლოდ ერთს უნდა გამოელო რაიმე წვლილი, მოეხადა დახმარების ვალი, რომ ხალხს „ჰო“ ეთქვა. ასეც მოხდა. ზოგმა ერთი ტვირთი ჩალა მისცა, ზოგმა ერთი ზვინი თივა და ხალხი კმაყოფილი დაიშალა, რომ დასაჯეს დამნაშავე ჩიბუხი და მეზობელსაც უშველეს.

ასე გამოხატავდა ხოლმე მთა მოძმის შველის შეგნებას.

მაგრამ გარდა ყველა ამისა, ვაჟას მთელი საქართველოც უყვარდა. ის წარსულში ინებებოდა და აწმყოში ხედავდა, რომ რუსეთის თვითმყრობელო-

ბის რკინის ქუსლით ბევრი კარგი რამ დაეკარგა საქართველოს. ამის გახსენება აწუხებდა ვაჟას, მაგრამ ის არ იყო სასოწარკვეთილი და ყოველთვის იმედი ჰქონდა, რომ საქართველო გაღონიერდებოდა, წელში გამაგრდებოდა და ისე მოაწყობდა თავის ცხოვრებას, როგორც დაწინაურებულ ქვეყანას შეეფერებოდა:

ვიხილავ სანატრელ სახეს,
რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა.

ვაჟა ყოველთვის დარწმუნებული იყო ბრწყინვალე მომავალში და არც მოტყუვდა: რომ ეცოცხლა, დაინახვდა, რომ მისი ქვეყანა პროლეტარიატმა დააწინაურა და თვით მისი მთის ხალხიც უგზობას და სიღარიბეს აღარ უჩივის.

ვაჟა საბავშვო მწერალიც არის არა მარტო იმიტომ, რომ მთელი თავისი პროზა და ლექსების უმეტესობა საბავშვო ჟურნალებში დაბეჭდა, არამედ თვით მოთხრობების გამართვით, ლაკონიურობით, იშვიათი ოსტატური დინამიკურობით, სიცოცხლით, სიუჟეტის გაშლით და ენის სისადავით.

ბელინსკი ამბობდა: საბავშვო მოთხრობა მაშინ არის ნამდვილი საბავშვო, თუ დიდებმაც დიდი სიამოვნებით წაიკითხესო.

ვაჟას არა მარტო ეს შეეფერებოდა სახსენებელთა არამედ ისიც, თუ ჩვენ შევატრიალებთ დიდი კრიტიკოსის აზრს: მის მოთხრობებს, თუ კი დაწერილია დიდებისათვის, პატარებაც დიდი კმაყოფილებით და სიამოვნებით წაიკითხავენ, რადგან მათთვის სრულიად გასაგებია.

ვაჟას იუბილე, რომელიც გვიახლოვდება, დიდი ზემოქმედებას იქონიებს ქართველი პროლეტარიატის. ამ ზემოქმედებას კომუნისტური პარტია და მთავრობა, რომელიც კლასიკურ მემკვიდრეობას ასეთი სიფაქიზით ეპყრობა.

ეს იუბილე არც ჩვენი პატარა და ახალგაზრდა მკითხველისათვის ჩაივლის უშედეგოდ, ვინაიდან საჩუქრად მიიღებენ სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორის მიერ მდიდრად დასურათებულს და საუკეთესოდ გამოცემულს ვაჟას მთელ პროზას.

ან. ლვინიაშვილი.

როგორ გაკვირნდი


რვა წოემბერს აეროდრომზე ვიყავ.

დილით თერთმეტ საათზე წავედი აეროდრომზე ავტოთი. შოფერს სახელად სიკო ერქვა, ძალიან კარგი შოფერი იყო, ამიტომ თუმცა გზა მაინცა და მაინც კარგი არ იყო, მაგრამ სიკომ აეროდრომზე ჩქარა მიგვიყვანა.

აეროდრომზე რომ მივედი, დავინახეთ უკვე ბევრი ხალხი შეგროვილიყო. აუარებელი ხალხი, ყველა მალა, ცაში იყურებოდა. უყურებდნენ, როგორ გაფრინდნენ ჰაეროპლანები. ამდენი ჰაეროპლანი მე არასოდეს ერთად არ მინახავს, ჩიტებივით ირეოდნენ ცაში, იქიდან ხტებოდნენ პარაშუტისტები და ნელნელა, თითქო ჰაერში დადიანო, მოცურავდნენ ჩვენკენ, მიწისკენ.

უფრო საკვირველი იყო პლანერები. ერთ ჰაეროპლანს მიაბეს პლანერი, შიგ ჩაჯდა პლანერისტი, სახელად ივინი. ჰაეროპლანმა ჯერ ვერ ზიდა პლანერი, მერე ქვეშ ფანერა შეუდეს, რომ ხახუნი ნაკლები ყოფილიყო. აფრინდა ჰაეროპლანი და თან პლანერიც აიყოლია. პლანერი ჰაეროპლანიდან ასი მეტრით იყო დაშორებული. უკვე პლანერი მოშორდა ჰაეროპლანს, ერთი სხვა მხარეზე წავიდა, მეორე სხვა მხარეზე; ივინი აკეთებდა მარყუჟებს. ნახევარი საათის შემდეგ დაეშვა.

მერე მეც ჩავეჯექი ჰაეროპლანში და გაფრინდი. პილოტი გვარად სპირიაკოვი იყო. წავიდა მალა. სულ მალა. ჰაერში ხუთმეტ წუთს დავფრინავდი, ასვლა ისეთი კარგი არ იყო, როგორც დაშვება.



დაშვების დროს თითქო ჰაერში ვრჩებოდით, მიწა კი ამდენი ხალხით ზევით ჩვენკენ მოფრინავდა. მე ძალიან მიხაროდა. ახლა მენატრება ისევ, ნეტავ აეროდრომზე კიდევ წავიყვანონ მეტი.

შინ დავბრუნდით ოთხ საათზე. ლურჯად გამოწყობილი პარაშუტისტები აქამდის არ მაგიწყდებია, რა უშიშრები იყვნენ, ისე ხტებოდნენ ციდან, თითქოს ჩიტები არიანო.

ოთარ გვინჩიძე.

მე-35 საშუალო სკოლის 3 კლ. მოწაფე.



1

კოლხიდა აყვავებულია,
თვისკენ იზიდავს ყველასა,
მისგან მოელის მშრომელი
გამარჯვებას და შველასა.

2

მიწა გვაქვს ნაყოფიერი,
რირა ვორერა რერაო,
ლიმონიც ამწვანებულა,
არ მოგვწყინდება მზერაო...

3

კოლხიდელები ყოფილან
ხალხი მაგარი გულისა,
რიონი გადაუგდიათ,
ჩრდილოეთისკენ უვლისა.

4

თეატრი აშენებულია
უზარმაზარი, ქვისაო,
ქარხნები და სხვა მრავალი,—
ჩამოთვლა გვიჭირს სხვისაო...

8. პაჭკორია.

თევზაობს თუ არა ჭოტი?

ბევრს ალბათ ეუცნაურება ეს კითხვა — აბა სად ჭოტი და სად თევზაობაო!

ერთხელ შორეულ აღმოსავლეთის ცნობილი მკვლევარი არსენევი მდინარის პირას წააწყდა თოვლზე რალაც დიდი ფრინველის კვალს.

ის დაინტერესდა და დაუყარაულდა. იცით, რა ნახა მან?

უზარმაზარი ჭოტი მოფრინდა, ჩაფრინდა თხელ წყალში, გაშალა ფრთები და თავის ბოლოს დაე-

ჯინა. ამრიგად მან ერთგვარი საგუბარი მოაწყო. რა მიზნით? ეს იყო განთიადისას. ამ დროს თევზი მოძრაობს, საკვებს ეძებს. პატარა თევზებიც ფუსფუსობდენ, საჭმელს ეძებდენ. ჭოტის ფრთები მათ გზას უღობავდა; დაინახავდა თუ არა თევზს, ჩაჰკრავდა ნისკარტს და მიირთმევდა. არსენევის თვალწინ ოცი-ოდე პატარა თევზი გადასანსლა ჭოტმა, მერე კი აფრინდა და ტყეს მიაშურა.

ვველიან თუ არა გველვებს?

რა უცნაური კითხვაა: გველის მოწველა სად გაგონილა?! ჰო, მართალია, რძეს კი ვერ გამოწველი, მაგრამ შხამის „გამოწველა“ კი შეიძლება.

როგორ?

მდიდარია მოაკოვის ზოოლოგიური ბაღი, ათასგვარი ფრინველი, ცხოველი და ქვეწარმავალია იქ, არის მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო შხამიანი გველიც — კობრა. აი როგორ „წველის“ კობრას იქ მომუშავე რასპობოვი: ის გაუღებს გველს პირს და ისეთ საგანს ჩაუღებს პირში, რომ გველმა პირის დამუწვა და კბენა ვერ შეძლოს. მაშინ გველს კბილის ქვეშ მიუდგამს საათის მინას, თვითონ კი ჩხირზე დახეული ბამბით დაუწყებს ჯირკვლის სრესას. ეს არის ნერწყვის დიდი ჯირკვალი, რომელიც იძლევა შხამს. ამ სრესისაგან შხამი კბილის ნახვრეტში ჩა-

დის, იქიდან კი საათის მინაზე ეცემა. ხანდახან ერთ „გამოწველაზე“ ათი წვეთი შხამის აღება ხერხდება. ჰაერზე იყინება შხამის წვეთი და ქარვისფერ კრისტალად იქცევა. ხუთმეტრი წელიც რომ შეინახოთ, მას ძალა არ დაეკარგება. ერთი ასეთი კრისტალი რომ მოხვდეს ადამიანის სისხლში, — ადამიანი არ გადარჩება. მაგრამ თუ კობრას შხამის ძალიან სუსტ ხსნარს ავიღებთ, ის ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოა ადამიანისათვის, მაგალითად: როდესაც კიბო აქვს ადამიანს და საშინელ წამებაშია, ამ აუტანელ ტკივილებს აყუჩებს კობრას შხამის სუსტი ხსნარი.

აი ამ მიზნით „წველიან“ გველებს მოაკოვის ზოობაღში.

8. თ—ლი.

მოლას ფურნი



მოლამ ეზოში ფურნე აავგო. გამოიარა მეზობელ-
მა, ჰკითხა:

— ფურნეს ვაშენებო.

— მერე, ურემზეო?

— დიად... აგრე სჯობს, — უთხრა მოლამ, — ზოგმა
აღმოსავლეთისაკენ არ მომიწონა ფურნის პირი, ზოგ-
მა დასავლეთისაკენ, სხვები კიდეც სამხრეთისაკენ

— მოლავ, რა აგიშენებიაო?

— ფურნეო.

— მერე, პირი საით გიქნიაო?

— აღმოსავლეთისაკენო.

— უჰ, ეგრე რამ გაგაბრიყვაო: პირი აღმოსავ-
ლეთისკენ როგორ შეიძლება, — დაუბერავს ზენა ქარი
და გახურებულ ფურნეს ქე გაგიციებსო.

მოლამ ფურნე დაანგრია. ცოლმა ჰკითხა:

— რას შვრებიო?

— შევცდი, პირი აღმოსავლეთისაკენ ვუქენი:
ბქედან ქარი ჩქარა გააგრილებსო.

ხელახლა ააშენა.

გამოიარა მეორე მეზობელმა.

— მოლავ, რა გაგიკეთებიაო?

— ფურნე, გენაცვალეო.


— მერე, პირი საით გიქნიაო?

— დასავლეთისკენო.

— გაბრიყვებულხარ: ქვენა ქარი ჩქარა გაგი-
გრილებსო.

მოლამ ფურნე დაანგრია, მოაგორა ურემი და
დაიწყო ზედ ფურნის აშენება. ცოლმა ჰკითხა:

— მოლავ, რას შვრებიო?



ან ჩრდილოეთისაკენ დამიშლიან... ავაშენებ ურემზე:
ხან აქეთ ვუზამ პირს, ხან იქით: აღმოსავლეთისაკენ
დამიშლიან, — დასავლეთისაკენ შევებარუნებ, სამხრე-
თისაკენ დამიშლიან, — დასავლეთისაკენ მივაბარუნებ
და მაშინ აღარ დამჭირდება დანგრევაო.

გ. ლომთათიძე

ბავშვთა შემოქმედება

ქ ი რ ო ვ ს

საქართველოს

პროლეტარიატს სევდა ეწვია,
შავმა ღრუბლებმა დაფარეს ზეცა,
ვერაგი ხელით ნასროლი ტყვიით
ჩვენი ძვირფასი სერგი დაეცა.

„მოგვიკლეს სერგი, ის აღარა გვეყავს“ —
ამ ხმამ ქვეყანა შემოიარა.

მოკლეს მამაცი, ოქტომბრის მტრებთან
ბევრი ბრძოლა რომ გამოიარა.

მოგვიკლეს, მაგრამ მებრძოლთა რიგებს
შევამჭიდროვებთ და განვამტკიცებთ
და თავდადებას მშრომელ ხალხისთვის
მთელსა ქვეყანას ჩვენ დავუმტკიცებთ.

სერგი, მშვიდობით! შენს სპეტაკს ხსოვნას
პიონერული გულით ვატარებთ,
შენი ცხოვრება და მუშაობა
გაზრდის მილიონ მასებს, პატარებს!

ირ. ჩხიკვიფილი.

ლენინის სახელობის ბათუმის საბავშო
სკოლის 7 კლ. მოწაფე.

შრომის სხივით განათებულს
საქართველოს მდილოს,
კოლექტივით დამშვენებულს —
წითელ საქართველოს,
მედგარ მშრომელს თავდადებულს,
შრომით გატაცებულს, —
ვუქმნით წინსვლას გამარჯვებულს,
შრომის ვუქმნით შევებულს!
ახალგაზრდა მშრომელის გულს,
მტკიცედ დაბადებულს,
დამკვრელობით ამაღლებულს,
შრომით გატაცებულს, —
სალამს ვუძღვნით გამარჯვებულს,
კოლექტივის მდილოს,
შრომის სხივით განათებულს
წითელ საქართველოს...

ბენ. კონჯარია.

ფოთის მეზღვაურთა შვიდწლედის
მე-7-კლ. მოწაფე.

1) მოლა — მაჰმადიანთა სარწმუნოების მსახური.



თუმც განწირულა, მაინც არაონაწილი
სიცოცხლისათვის ომობს. გიგალორთაჲ

მიქრის ტრამვაი № 2 და თან მიმაქროლებს ზო-
ობალისაკენ. რაც უფრო ვუახლოვდებით ზოობაღს,
მით უფრო მოუსვენრობას ვგრძნობ. აი უკანასკნე-
ლი გაჩერებაც... ჩამოსვლისთანავე გავსწიე სალარო-
საკენ, სადაც ჩამწკრივებულიყვნენ ექსკურსიაზე მო-
სული ბავშვები და მოზრდილები. ავიღე ბილეთი და
ალაყაფის კარის ზღუდეს გადავაბიჯე.

შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ
გალიასთან მოგროვილმა ხალხმა. ჩემ სიხარულს
საზღვარი არ ჰქონდა, როცა გალიაში თეთრი დაფ-
ვი დავიანახე. ორი ბელი წყალში ჭყუმბალობდა, მე-
სამე კი იწვა დაღვრემილი და სევდიანად გაჰყურებ-
და. სივრცეს.

წევხარ თვალის განაბვით
დავრდომილი, სნეული,
სამხრეთს გადმოკარგული,
მარტოდმარტო, ეული!

— ღრუტ — ღრუტ — ღრუტ! — ღრუტუნებს მეო-
რე გალიაში წუთებში ამოვანგლული გარეული ღო-
რი და კმაყოფილების ნიშნად წარამარა თავის თეთრ
ეშვებს აჩენს:

ეჰ, უღარდელი ღრუტუნა,
არაფრად აგდებ ტყვეობას,
ოლონდ საჭმელი იშოვო, —
მაშინვე მართავ ღრეობას.

„პოპკა დურაკ“, „პოპკა დურაკ“, — იძახიან თუ-
თიყუშები და თან ახატულ-ჩახატულ ფრთებს ასავ-
საგებენ.

ოჰ, რა ლამაზი არიან ეს თავისუფალი ბუნების
შვილნი, მაგრამ უფრო ლამაზი იქნებოდნენ უზარ-
მაზარი კვიპაროსის პალმებსა და კოკოსის ხეებს
შორის.

შევდივარ მინისსახურავიან ნათელ შენობაში,
სადაც ისმის ხან ღმუილი, რომელიც გალიაში ნერ-
ვიულად მოსიარულე ყვეფხვს ამოხდება ხოლმე, ხან
ლომის გმინვა. თაკი წინა თათებში ჩაურგია და
თვალეზდახუტულს, დასევდიანებულს ალჟირის მა-
ღალი მთები და საპარის თვალუწვდენელი ქვიშიანი
უდაბნო აგონდება.

გარინდებული წევხარ,
სევდამ დასერა გული,
მოსცილდი შენ აფრიკას
ხუთი წელია სრული.

ხან ღმუი, ხანაც ოხრავ,
გული კი ისევ ლომობს,

ცხოველების საერთო ხმაურობას ერთვის აგრე-
თვე გაიძვერა მელაკუდას წრიპინი და ტურების
ჩხავილი, რომლებიც ამრეზილები უცქერიან მაყუ-
რებელ ხალხს.

ფრინველთა მეფეს თავი ფრთებში ჩაუმაღავს
და თითქოს სიზმარში ხედავს მაღალ მთებს:

დაღვრენილხარ, არწივო,
თავიც კი ჩაკიდევო,
ყინულოვან მწვერვალებს
ვერ იხილავ კიდევო.
ვერ იხილავ შენს ბუდეს,
ფრიალო კლდეს სალებსა.
ვერც შენს ტოლებს, მეგობრებს,
ტყვიასავით მალეხსა.

კავკასიონის ჯიხვი ხელოვნურ კლდეზე გადმომდ-
გარა და ქანდაკებასავით გაშეშებული გასცქერის
თოვლით დაფარულ მწვერვალებს... და მუდამ, რო-
დესაც ის ამ კლდეზე პირით კავკასიონისაკენ გად-
მოდგება, აგონდება განვლილი ცხოვრების ბედნიე-
რი წუთები და ნაპრალში დაღუპული მეგობრის
უკანასკნელი გამოთხოვება.

ჯიხვო, მაღალი მთის შვილო,
ჩამოვიყვანეს ბარადა,
შენი ტყვეობის ამბავი
მთაში გაისმა ზარადა.

ატირდა ქარში ხეობა:
არწივთ შეკვეცეს ფრთებიო,
უშენოდ, ჯიხვო, ნაღვლობენ
ჩაშავებული მთებიო.

ქვითინებს წყარო ხევებში,
მალიდან წვება ზევაიო,
დამწუხრებულან ყინვარნი,
ჩამოსდით ცრემლის ღვარიო.
შორიდან უმზერ მთის თხემებს,
გწადია გაჭრა მთებშია,
მაგრამ შენცა გრძნობ: ვერ ნახავ
სამშობლოს თავის დღეშია...

ზოთა გაგოშია

მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლის
მე-8 კლასის მოწაფე.



ქურნალ „პიონერის“ 1935 წლის შინაარსი



აბაშიძე ირაკლი

1. გმირული დაღუპვა (ლექსი) № 6.

აბრამიშვილი ე.

1. „პიონერს“ № 1 — 2.
2. აკაკი № 3.
3. პატარა დიკი და გოლიათი (მოთხრ.) № 11.

ანატოლ ფრანსი

1. კრენკბილის თავგადასავალი (მოთხ.) 9 და 10. (თარგმ. ირ. ქაფჯარაძისა).

აპაძე

1. სკოლაში („ჩემი თავგადასავალიდან“) № 1-2.
2. მამალი (ლექსი) № 3.
3. ნაკვესები № 3.
4. აღზრდის შესახებ № 3.

აროსია ვრ.

1. თამაშობა (ლექსი) № 11.

ბაკრაძე ს.

1. კაკლის ბერტყვა (ლექსი) № 12.
2. შემოდგომა (ლექსი) № 11.

ბოგბათიჩივა ს.

1. პიონერმოძრაობა და საჭიერო თავდაცვა (წერილი) № 8.

ბეჩქაშვილი დ.

1. აკაკის (ლექსი) № 3.
2. ტფილისში (ლექსი) № 6.

ბილანიშვილი ალ.

1. ტელმანი (ლექსი) № 6.
2. წითელარმიელი ლექსი № 4.

ბაჩიანი ზ.

1. სტრატოსტატი (მოთხრ.) თარგმანი № 1-7.

ვასალია მ.

1. ნინა ხუბულავა (წერილი) № 3.

გონდოლაძე ს.

1. საბჭოთა ქვეყნის ფრთები (№ 9).

გორგაძე მ.

1. ვაჟა-ფშაველას (ლექსი) № 10.

გვამჭავრიძე ლ.

1. მურთაზი (წერილი) № 1-2.
2. აკაკი „ჯეჯილის“ რედაქციაში № 3.
3. პიონერი. არდადეგები (ლექსები) № 3.
4. გამოცანა № 7.
5. პატარა ვოკა (მოთხრ.) № 12.

გეგეჭვიანი ს.

1. ედიშა (მოთხრ.) № 8.

გიგაური

1. 145 კარი № 8.

გრიშაშვილი ი.

1. ია და ყაყაო (ლექსი) № 1-2.

გ. გ-ის.

1. საკრავების შეჯიბრება (ლექსი) № 6.

გულიაშვილი ლ.

1. ბიჭო გოგია! (მოთხრობა) № 8.

დავითაშვილი ნ.

1. გველის, კუს, ხვლიკის და ნიანგის (წერილი) № 4.

ღვებავაძე ა.

1. აღარ დაბრუნდა (მოთხრ.) № 8.
2. პატარა ჯადოსანი (წერილი) № 12.

მგრალიძე მ.

1. დღე ბანაკში (ლექსი) № 8.
2. დაბრუნება (ლექსი) № 9.
3. კვირეული (ლექსი) № 11.

მრ.

1. პარაშუტის ისტორია (წერილი) № 9.

მუხრანელი ნ.

1. მოვსპოთ ბავშვთა უპატრონობა (წერილი) № 9.

ზანუბანი

1. რაზმი ლაშქრობის დროს (წერილი) № 7, 8, 9.

თაბუკაშვილი უ.

1. განვლილი წლები (წერილი) № 1-2.
2. სხვიტორში (წერილი) № 3.
3. ზღაპრები ადამიანის წარმოშობის შესახებ (წერილი) № 7.
4. გადაშენებული გოლიათები (წერილი) № 9.
5. გასართობი № 10.
6. თევზაობს თუ არა ჭოტი (წერილი) № 12.
7. წველიან თუ არა გველებს № 12.

თ. თ. ლი.

1. დათვი (წერილი) № 12.

თევზაძე კლ.

1. ამოცანა ასობზე № 10.
2. გასართობი № 7.
3. ამოცანა № 8.
4. რებუსი № 8.

თოხვაძე ლ.

1. თვლები აქვს, მაგრამ ვერ ხედავს. (წერილი) № 1-2.

იასაშანი

1. უკრაინის სახალხო პოეტი (წერილი) № 6.
2. სიზმარი (ლექსი) № 6.
3. სკოლა შენთვის მთაში (ლექსი) № 10.
4. კოლოსა და ყაზახის საჩივარი (ლექსი) № 11.

ქაჯანიძე მ.

1. ცხრა ცხვარი (ლექსი) № 1-2.
2. სახელოვანი იუბილარი (ლექსი) № 1-2.
3. მომღერალი (ლექსი) № 6.
4. ბედნიერი ახალგაზრდები (ლექსი) № 4.
5. ოქტომბერი (ლექსი) № 10.
6. დის წერილი (ლექსი) № 7.
7. პატარა კომუნარი (ლექსი) № 3.
8. ნარინჯები (ლექსი) № 11.
9. მკითხველებს (ლექსი) № 12.

ქანკაძე ლ.

1. რახილ (მოთხრობა) № 10 და 11.

ქალანდაძე მ.

1. ზამთარი (ლექსი) № 1-2.
2. მეზღვაურის სიმღერა (ლექსი) № 6.
3. ზღვასთან (ლექსი) № 12.

კახაბაძე ავ.

1. ციტრუსების მხარეში (ლექსი) № 11.
2. მთების მეოსანი (ლექსი) № 12.

კონჯარია ბ.

1. საქართველოს (ლექსი) № 12.

კამეზი ლ.

1. კულტურა (მოთხრობა) № 7, თარგ. ნ. ნაკაშიძისა.

კობაიძე შ.

1. მთის წყარო (ლექსი) № 6.

კუპრაძე მ.

1. პიონერი (ლექსი) № 10.

ლ. ი. მ.

1. მდინარე ცხენისწყლის სათავეში № 6.

ლომთათიძე მ.

1. კურდღლის რაინდობა № 6.
2. ტრაბახა მჭედელი და მზარეული (ლექსი) № 6.
3. ინდოეთის კაკალი და თაგვი № 10.
4. თხების გაყოფა (არაკი) № 8.
5. მოლას ფურნე; ვირის ქურდი № 12.
6. თხის საჩივარი № 1-2.
7. გამოცანა № 7.

მაყაშვილი ალ.

1. არტეკ (ლექსი) № 7.

მიქელაძე მ.

1. ინტერვიუ რეზოსთან (ლექსი) № 7.

მიმინაშვილი მ.

1. ცელქი გიგლა (ლექსი) № 10.

მ-ძე.

1. მწერლები ქვიშხეთის პიონერბანაკში (წერილი) № 11.
2. ლიტწრეების მუშაობა (წერილი) № 11.

მაკაშვილი ლ.

1. საბჭოთა მთავლელობა (წერილი) № 7.

მელაძე მ.

1. კოლმეურნის შვილი (ლექსი) № 4.
2. წერილი ბებიას (ლექსი) № 5.

მღვიმელი ძ.

1. ბავშვს (ლექსი) № 1-2.
2. ვაჟს (ლექსი) № 11.

მაქსიმ გორკი

1. გაფიცვა პარმაში № 4. (თარგმ. შ. თ-ისა).

მიმჭრალი

1. აკაკი (ლექსი) № 3.
2. წერილი ქალაქელ დაიას (ლექსი) № 6.
3. სალამი (ლექსი) № 10.
4. დაიკო მიფრინავს (ლექსი) № 7.
5. პეპელების კოლექცია (ლექსი) № 8.

მეტრეველი ლ.

1. დედა და შვილი (მოთხრ.) № 12.

მღივანი ა.

1. პიონერორგანიზაციის ამოცანები საპერო თავდაცვის საქმეში. № 9.

ნ. ნაკაშიძე.

1. ჩიტბატონა და ბუ № 11.

ნ. ძ-ლი.

1. სასტუმრო „ძველი რეჟიმი“ (მოთხრობა) № 7. **ნემსიწვერიძე მ.**

1. პიონერს (ლექსი) № 9.

ონელი არნო.

1. ორი ნაწყვეტი პოემიდან № 1-2.
2. სკოლისაკენ (ლექსი) № 9.
3. ოქტომბერი (ლექსი) № 10.

პავა ლაღო

1. წყალდამსახი (მოთხრ.) № 8-9.
2. გმირული მსხვერპლი (მოთხრ.) № 10.

პატრიარქილი მ.

1. ჩვენს ჟურნალს (ლექსი) № 8.

პატრიარქილი მ.

1. ჩვენი ბალი (ლექსი) № 8.

პროკოფიევი

1. გამოთხოვება (ლექსი) № 12. (თარგმანი შ. თაბუკაშვილისა).

პუშკინი ა.

1. ოქროს თევზი და მებადური № 5. (თარგმანი ა. ახნაზაროვისა).

პაპკორია მ.

1. კოლხიდა აყვავებულა (ლექსი) № 12.

შენდი ს.

1. ერთგული სერმა (ლექსი) № 1-2.
2. აკაკი (ლექსი) № 3.
3. ისევ წიგნი (ლექსი) № 9.
4. მორჩა სწავლას (ლექსი) № 7.
5. სურათი (ლექსი) № 11.
6. ზაფხულის დღე (ლექსი) № 8.

რანი

1. მოსკოვის მეტრო (წერილი) № 7.
2. პიონერებს (წერილი) № 8.
3. ბავშვების აზრი საბავშვო წიგნებზე (წერილი) № 11.

რუხაძე მ.

1. ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი (ლექსი) № 10.

რათიშვილი კ.

1. გამოცანა № 1-2.
2. ბავშვების მეგობარი (მოთხრ.) № 6.

სინარულიძე ი.

1. გავხდეთ ინჟენერი (ლექსი) № 1-2.
2. ინდოური და მამალი (ლექსი) № 10.

სულაბერიძე ვლ.

1. ინჟენერები გავხდებით (ლექსი) № 10.
2. დარაზმულან ფრიადებით (ლექსი) № 8.
3. სიმღერა ვაჟს მთებიდან (ლექსი) № 12.

სინარულიძე ძ.

1. აკაკის სახლში (ლექსი) № 3.

სამაღაშვილი შ.

1. მთისკენ (ლექსი) № 7.
2. წვიმა (ლექსი) № 8.

საქვარაქმიანი თ.

1. პატარა ესკიმოსი (მოთხრობა) № 5-6.

სარადაქციო

1. „პიონერის იუბილე (წერილები) № 1-2.
2. „პიონერის“ 1934 წ. შინაარსი № 1-2
3. საბავშვო ფოლკლორი (წერილი) № 7.
4. ჩვენს მკითხველებს № 8.
5. სამწუხარო ამბავი № 1-2.
6. საბავშვო მუსიკა № 5.

საჯანა ა.

1. ჩემი სოფელი (ლექსი) № 6.

სერაფიმოვიჩი ა.

1. ორი ღვთისმშობელი (მოთხრ.) № 4. (თარგმ. შ. თ-ისა).

ტყუალაშვილი ნ.

1. მგალობელი ჩიტების ზეიმი (მოთხ.) № 6-7.

უგულაშვილი ნ.

1. ხანჯალი მზის სხივზე (მოთხრ.) № 7.

უბილაშვილი ელ.

1. ღამე ჩემ სოფელში (ლექსი) № 9.

ზ. ზარცხანაშვილი

1. ზღვის საშინელება № 8.

ზარიანი ნ.

1. გაუფრთხილებლობა (მოთხრ.) № 6.

ზახაძე ნ.

1. ეს სტალინელი პიონერია (ლექსი) № 5.

ჭვარიანი ს.

1. ქართველები უძველეს დროში (წერილი) № 1-2.
2. დიდი პოეტი აკაკი წერეთელი (წერილი) № 3

ჭორაძე რ.

1. საოცარი ბალი (მოთხრ.) № 4.

2. მედეა (მოთხრ.) № 8.

ჭუჩიშვილი ბ.

1. მოწაფეობას (ლექსი) № 5.
2. პირველი მაისი (ლექსი) № 5.
3. ფადიმე გოგიტიძე (ლექსი) № 12.
4. თერამეტი (ლექსი) № 11.

ჭოჩიაშვილი ნ.

1. ჯულბარსი (მოთხრ.) № 5.

ღვინიაშვილი ან.

1. ბავშვების საყვარელი მწერალი (წერილი) № 3
2. ჯონათან სვიფტი და გულივერის მოგზაურობა (წერილი) № 11.
3. ვაჟა-ფშაველა (წერილი) № 12.

ღიბრაძე ბ.

1. რებუსი № 8.

ძარაღაშვილი ს.

1. ივანე მიჩურინი (წერილი) № 8.
2. წითელარმიელები მყინვარზე (წერილი) № 11.

შიო მღვიმელი

1. მზეთამზე (ლექსი) № 9.

თ. შავარჯაშვილი

1. ნოტები.

უანუიაშვილი თ.

1. მხეცთა ბრძოლა (მოთხრ.) № 6.

უანუიაშვილი ს.

1. თოვლის კაცი № 12.

2. ფშუტარა № 12.

უგულია ნ.

1. ჩვენი რკინისგზა № 12.

უამათაშვილი დ.

1. წინაღობით (ლექსი) № 1-2.
2. დურგალი ჟორჟ ლაკუსი (მოთხრ.) № 4.
3. სფინქსის საიდუმლოება (მოთხრ.) № 12.

უპყვიანი

1. დედის ღიმილი (მოთხრ.) № 1-2, 4.
2. პირველი გაცნობა (წერილი) № 3.

უკრამთელი კ.

1. შემოდგომა (ლექსი) № 11.

უნიანიანი ნ.

1. პაჯის ძალი (თარგმანი, ზღაპარი) № 1-2.
2. ორივე დაშვრელია (მოთხრ.) № 3.
3. ღია თვალებით (მოთხრ.) № 7.
4. ერემო (მოთხრ.) № 8.
5. კრება (მოთხრ.) № 11.

უნიანიანი ირ.

1. სამკედლოში (ლექსი) № 10.

უნიანიანი ბ.

1. ხეცსურეთი № 8.

უნიანიანი ი.

1. კოლოების ბუდე (მოთხრ.) № 5.

უნიანიანი თ.

1. საიდუმლო ნიშნები (მოთხრ.) № 5.
2. საიდუმლო სტამბა (მოთხრ.) № 7.

უნიანიანი ნ.

1. სასწავლო წელი ენთუზიაზმით დამთავრდა (წერილი) № 6.

2. ჯილდო (მოთხრ.) № 4.

უნიანიანი ირ.

1. კიროვს (ლექსი) № 12.

უნიანიანი ბ.

1. მაგნიტის მთა (მოთხრ.) № 4.

უნიანიანი ზ.

1. კინო (წერილი) № 11.

უნიანიანი ბ.

1. ათწლეულდამთავრებულებს (ლექსი) № 8.

უნიანიანი ე.

1. აკაკის (ლექსი) № 3.

უნიანიანი ი.

1. ლევარსი როხროხაძე (მოთხრ.) № 9, 10, 11, 12
2. ჩემს პატარა გოგონას (ლექსი) № 9.

უნიანიანი არ.

1. ფრიადოსანი ელიკო (მოთხრ.) № 9.

უნიანიანი ლ.

1. მარწყვზე (მოთხრ.) № 1-2 და 3.

უნიანიანი ნ.

1. პიონერს (ლექსი) № 1-2.



კოლონიდა აყვავებულია.

Moderato.

მუს. გრ. კოლონიდას.
ლიტვ. ვ. შაქარაშვილი.

ადრეუგანი.

1. კო-ლო-ნი-და ა-ყ-ვა-ვი-ბუ-ლი-ა
კო-ლო-ნი-და ა-ყ-ვა-ვი-ბუ-ლი-ა

მუხლი.

მუს. გრ. კოლონიდას.
(და სხვა)

კო-ლო-ნი-და ა-ყ-ვა-ვი-ბუ-ლი-ა
მუს. გრ. კოლონიდას.
კო-ლო-ნი-და ა-ყ-ვა-ვი-ბუ-ლი-ა

ადრეუგანი.

1. 2. 3. 4. 5.
2. მისი ვაჟის ნა-
ვა-ჟის ვაჟის მისი
და ვაჟის ნა-
ვა-ჟის ვაჟის მისი